www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი 13 დეკემბერი, 2008 წელი. №279 (2023) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრეზიდენტი მეციტრუსეებს შეხვდა
A2



ევროკავშირის სამიტზე გლობალურ დათბობასთან ბრძოლის გეგმაზე შეთანხმდნენ
A8



ქართული ხმა ეკრანიდან და პოლონური ბუნტი
A9



# პატრიარქის მისიის შედეგი

ნათია მსხილაძე

*საჩხერის რაიონის სოფელი პერევი რუსმა ოკუპანტებმა გუშინ დილით დატოვეს. ქართველმა სამართალდამცავებმა სოფლის ტერიტორია მთლიანად დაიკავეს და სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ჯავის რაიონის საზღვრამდე კონტროლი აღადგინეს. თუმცა, გუშინვე, სოფელ სინაგურისკენ გადანაცვლებული რუსი ოკუპანტები კვლავ შევიდნენ პერევში და პირვანდელი პოზიციები დაიკავეს. მათივე განცხადებით, ისინი პერევს დღეს დატოვებენ, როცა სოფელში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შევა. პერევის გარშემო ოკუპანტების გაუგებარი "თამაშის" დაწყებამდე საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიცია პირველ წარმატებაზე საუბრობდნენ, რასაც საქართველოს პატრიარქის მისიას და რუსეთზე საერთაშორისო ზეწოლას უკავშირებდნენ.*


ფოტო: ბესო გულაშვილი

### პატრიარქის როლი

პერევიდან რუსი ოკუპანტების გასვლას ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოსკოვში ვიზიტსა და საერთაშორისო ზეწოლას უკავშირებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ბრიშამბოს ვიზიტი დასრულდა

*საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ეუთო-ს გენერალურ მდივანს საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს. 11 დეკემბერს მარკ პერინ დე ბრიშამბომ შეხვედრები გამართა პრემიერ-მინიტრ გრიგორ მგალობლიშვილთან, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან და სახალხო დამცველ სოზარ სუბართან, გუშინ კი ეუთო-ს გენერალური მდივანი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს, პარლამენტის ვიცე-სპიკერ გიგი წერეთელს და სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილს ესაუბრა. გუშინვე მარკ პერინ დე ბრიშამბო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. ამ მრავალრიცხოვანი შეხვედრების მთავარ თემას აგვისტოს მოვლენები და საქრთველოში დღეს არსებულ ვითარება წარმოადგენდა. განსხვავებული თემატიკა მხოლოდ ოპოზიციასთან დიალოგის დროს განიხილებოდა.*

გიორგი ასანიშვილი

**"ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რათა ეუთო-ს მისია და დამკვირვებლები ცხინვალის რეგიონში იყვნენ დაშვებულნი,"** - თემურ იაკობაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ბრიშამბოს მიერ გაკეთებული ეს განცხადება ნათელს ხდის, თუ რა მიზნით არის ჩამოსული საქართველოში ეუთო-ს გენერალური მდივანი. ამ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ მისი ვიზიტის დღევანდელი პროგრამა გორისა და გორის რაიონის სოფლების მონახულებასაც ითვალისწინებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ევროპის აღმოსავლური პარტნიორობა

*ევროკავშირის ლიდერებმა მიიღეს ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის თანახმადაც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა ევროკავშირის მოსკოვთან ურთიერთობა გააუარესა. ნდობის აღსადგენად ევროპა რუსეთს საკუთარი ვალდებულებების შესრულების პირობას უყენებს. გარდა ამისა, გუშინდელ სამიტზე ოფიციალურად დამტკიცდა ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის ახალი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან საქართველოსა და მასთან ერთად რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის მჭიდრო ინტეგრაციას.*

დიმიტრი ავალიანი

ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია წარმოადგენს თვრამეტგვერდიან დოკუმენტს, სათაურით - **"უსაფრთხოების უზრუნველყოფა ცვალებად მსოფლიოში."** დოკუმენტი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჰავიერ სოლანამ მოამზადა.

მასში აღნიშნულია, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა **"რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად"** გაუარესდა.

ამ კონფლიქტთან დაკავშირებით ევროკავშირი აღნიშნავს, რომ **"სუვერენული მთავრობები ვალდებულნი არიან, პასუხისმგებლობა იკისრონ საკუთარი მოქმედებების შედეგებზე და გაიზიარონ საერთო პასუხისმგებლობა მოსახლეობის დაცვაზე გენოციდისგან, სამხედრო დანაშაულისგან, ეთნიკური წმენდებისგან და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებისგან."**

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## სენატორი ჯონ კერი საქართველოში ჩამოდის

"დემოკრატი" სენატორი მასაჩუსეტსის შტატიდან ჯონ კერი დღეს საქართველოში ჩამოდის. ის შეხვდება პრეზიდენტ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ მგალობლიშვილს, პარლამენტის წევრებს და ოპოზიციის ლიდერებს. შეხვედრაზე განიხილება აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები და მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები.

სენატორი კერი 2004 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტის პოსტზე "დემოკრატიული პარტიის" კანდიდატი იყო. ხოლო 2009 წლის იანვრიდან ჯონ კერი სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს უხელმძღვანელებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქუთელია საგარეო უწყებაში გადავიდა

თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილის ყოფილი მოადგილე ბათუ ქუთელია საგარეო საქმეთა სამინისტროში გააგრძელებს მუშაობას. ამის შესახებ განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ბაჩო ახალაია თავდაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილედ წარადგინა. **პირველი**

## უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად ეკატერინე ტყეშელაშვილი დაინიშნა. საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ახალ თანამდებობას დღეს ჩაიბარებს. ამ საკადრო ცვლილების შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. **პირველი**

## "მწვანე გზა აფხაზეთისკენ"

გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, იგოეთთან აქცია გაიმართება, რომლის სახელწოდებაა "მწვანე გზა აფხაზეთისკენ". მას საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები შეუერთდებიან და ხეებს დარგავენ. აქციის მონაწილეები მსვლელობას რესპუბლიკის მოედნიდან დღეს 10:00 საათზე დაიწყებენ. **პირველი**

## "საია"-მ კონცეფცია წარმოადგინა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გუშინ, დისკუსიის ფორმატში, კონტროლის პალატის რეფორმის შესახებ კონცეფციის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც დაესწრნენ ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი, საქართველოს პარლამენტის იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების წევრები. გარდა ამისა, შეხვედრაზე იყვნენ კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დისკუსიის მონაწილეებმა, კონცეფციის პრეზენტაციასთან ერთად, ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა განიხილეს და პარლამენტში წარდგენილ "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" კანონპროექტის დადებით და უარყოფით მხარეებზე ისაუბრეს. **პირველი**

## ნიკა გვარამიამ შაუმიანის სკოლა მოინახულა

განათლებისა და მეცნიერების ახლად დანიშნული მინისტრი ნიკა გვარამია მარნეულის რაიონის დაბა შაუმიანის საჯარო სკოლას ესტუმრა. მან შაუმიანის მეორე საჯარო სკოლაში დევნილ მოსწავლეებს სასკოლო ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა გადასცა. გვარამიამ მარნეულის რაიონის პრეზიდენტის სტიპენდიანტი 15 მასწავლებელიც დააჯილდოვა. მიმდინარე სასწავლო წელს პრეზიდენტის 200-ლარიან სტიპენდიას სულ 500 პედაგოგი 8 თვის განმავლობაში მიიღებს.

დაბა შაუმიანის მეორე საჯარო სკოლაში, სადაც რუსული აგრესიის შედეგად დევნილი 30 მოსწავლე სწავლობს, 230 ახალი მერხითა და სკამით აღიჭურვება. უახლოეს მომავალში შაუმიანის სკოლა კიდევ 141 დევნილ მოსწავლეს მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

## "კონსერვატორები" ბოკერიას აკრიტიკებენ

"კონსერვატორები" 17-18 დეკემბერს ჟენევაში დაგეგმილ ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერიას მონაწილეობის წინააღმდეგნი არიან.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე "კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, რომ ბოკერიას დელეგაციის მიერ ნაკისრ არც ერთ ვალდებულებას იურიდიული ძალა არ ექნება, რადგან დაუშვებელია საზოგადოების ზურგს უკან ხელისუფლების ყველაზე რეაქციული ჯგუფის და სამხედრო დამნაშავეების მიერ ახალი ვალდებულებების აღება. მისი გადაწყვეტილებები დენონსირებული იქნება საქართველოს ხელისუფლების ცვლილებისთანავე, - განაცხადა ძიძიგურმა.

მისი თქმით, ქართულ დელეგაციას ჟენევაში საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ უნდა უხელმძღვანელოს. **"ინტერპრესნიუსი"**

# ევროპის აღმოსავლური პარტნიორობა

პირველი გვერდიდან

იმავდროულად, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ევროკავშირისთვის **"გლობალურ საკითხებში მნიშვნელოვან პარტნიორად რჩება,"** ასევე არის ევროპაში ენერგორესურსების მთავარი მიმწოდებელი.

თუმცა, ევროკავშირი რუსეთისგან მოელის, **"საკუთარი ვალდებულებები იმგვარად შეასრულოს, რომ აუცილებელი ნდობა აღდგეს."**

ევროკავშირი მიესალმება საფრანგეთის, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის ძალისხმევას კონფლიქტის დარეგულირებისთვის და ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის ოპერატიულ განლაგებას საქართველოს ტერიტორიაზე.

საერთო ჯამში, ახალ დოკუმენტში ახალ მნიშვნელოვან საფრთხეებად კლიმატის ცვლილება, კიბერ-დანაშაული და მეკობრეობა დასახელდა. გარდა ამისა, დოკუმენტში აღინიშნა, რომ ევროკავშირისა და მისი პარტნიორების ძალისხმევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ენერგოუსაფრთხოება წარმოადგენს.

გუშინ ბრიუსელში ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებმა ასევე დაამტკიცეს აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში რამდენიმე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთან - საქართველოსთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან. ევროკავშირი შესაძლებლად მიიჩნევს ამ პროცესში ბელარუსის ჩართვასაც, თუ მინსკი დააკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხში.

როგორც ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ აღნიშნა, აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა ევროკავშირში გაწევრიანებას არ ითვალისწინებს, თუმცა გულისხმობს **"პოლიტიკური თანამშრომლობის დონის მნიშვნელოვნად ამაღლებას, ევროპის ეკონომიკასთან ფართო ინტეგრაციას, ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას და ფინანსური დახმარებს ზრდას."**

# ჭუბურხინჯის ფორმატი

ნინო დალაქიშვილი

*ჭუბურხინჯში ოთხმხრივი მოლაპარაკებების აღდგენის ინიციატივით აფხაზური მხარე გამოდის. არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ეს წინადადება მას შემდეგ გაახმოვანა, რაც გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წამომადგნელ იოჰან ვერბეკეს შეხვდა.*

სეპარატისტთა ინიციატივას გაგებით ხვდება კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი. იგი აცხადებს, რომ ჭუბურხინჯის მოლაპარაკებების განახლებას ქართული მხარე უნდა დათანხმდეს, რადგან მოლაპარაკებების განახლება გალში სიტუაციის სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს. ექსპერტის განცხადებით, აფხაზები ჭუბურხინჯის მოლაპარაკებების განახლებაზე მხოლოდ კოდორიდან ქართული შეიარაღებული ძალების გაყვანის შემთხვევაში იყვნენ თანახმა. ახლა, როცა კოდორში რუსული და აფხაზური საჯარისო ნაცილები დგანან, ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ სტატუს კვო აღდგენილია და აფხაზური მხარე თანახმაა ამ მოლაპარაკებების განახლებაზე. **"აფხაზები ყოველთვის მოითხოვდნენ ჭუბურხინჯის მოლაპარაკებების განახლებას. მოლაპარაკებები შეწყდა მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ კოდორში ქართული საპოლიციო ძალები განათავსა. აფხაზები აცხადებდნენ, რომ ვიდრე კოდორში არ აღდგებოდა სტატუს კვო, ისინი მოლაპარაკებებზე არ წამოვიდოდნენ. ახლა აღდგა სტატუს კვო და მათ აქვთ სურვილი, განაახლონ ეს მოლაპარაკებები. აქამდე ქართული მხარე თავის პირობებს არ ასრულებდა და კოდორის ხეობიდან შეიარაღებული ძალები არ გამოყავდა. ახლა უკვე გამოყვანილია ჯარები, შესაბამისად, აფხაზებს ჭუბურხინჯის შეხვედრებზე უარის სათქმელად არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ და თვითონვე გამოვიდნენ ინიციატივით. რაც არ უნდა ხდებოდეს, გალის რაიონი ჩვენი ინტერესების სფეროა, იქ ქართული მოსახლეობა ცხოვრობს და ჩვენ უნდა განვაახლოთ თანამშრომლობა აფხაზურ მხარესთან, რათა იქ წესრიგი იყოს,"** - ამბობს პაატა ზაქარეიშვილი. იგი მიიჩნევს, რომ ჭუბურხინჯის მოლაპარაკებების წარმართვაში რუსეთის როლი მინიმალურია, რადგან, ექსპერტის თქმით, ჭუბურხინჯის მოლაპარაკებების დროს ლოკალური რეგიონული საკითხები განიხილება და არა პოლიტიკური.

სამაგიეროდ, ჭუბურხინჯის მოლაპარაკებების ფორმატის შესახებ გამოთქმულ ინიციატივაზე ოფიციალური თბილისის რეაქცია უარყოფითია. **"ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის აღდგენას ქართული მხარე არ დათანხმდება,"** - ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმაც განაცხადა. **"ჭუბურხინჯში იყო რუსი სამშვიდობოების ბაზა. ამ ფორმატის აღდგენა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავთანხმდეთ რუსების, როგორც სამშვიდობოების როლის აღიარებას. ჩვენ კი ამის წინააღმდეგნი ვართ. ქართულ მხარეს, ჭუბურხინჯის შეხვედრების აღდგენის ნაცვლად, ადმინისტრაციულ საზღვრებზე უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული წინადადებები აქვს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საზღვრებზე პროვოკაციები სწორედაც იმიტომ ხორციელდება, რომ რუსულმა მხარემ ბუფერული ზონების შემოღებას და გაფართოებას მიაღწიოს,"** - განაცხადა იაკობაშვილმა.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელი მალხაზ აქიშბაია მიიჩნევს, რომ **"ეს საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს".** მისი განცხადებით, თუ ჟენევის შეხვედრაზე დადგება და მიიღება წინადადება ჭუბურხინჯში მოლაპარაკებების აღდგენის თაობაზე, ამას წინ არაფერი დაუდგება. თუმცა, მანამდე ოთხმხრივი ურთიერთობების საკითხის განხილვა და, მით უმეტეს, მასში მონაწილეობა, ნაადრევია. **"ცალსახაა, რომ დიალოგის განახლება აუცილებელია, თუმცა ჩვენ მაშინ, როდესაც ჭუბურხინჯის ფორმატი მუშაობდა, რუსეთთან კაბალურ პირობებში ყოფნაზე დათანხმება გვიწევდა,"** - ამბობს აქიშბაია.

ადრინდელი ფორმატით ჭუბურხინჯში ოთხმხრივი შეხვედრების გაგრძელებას სრულებით წარმოუდგენლად მიიჩნევს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პარლამენტის დროებითი კომისიის წარმომადგენელი შოთა მალაშხია. **"ჯერ უნდა ვთქვათ, რა იყო ეს მოლაპარაკებები. ერთ მაგიდასთან ისხდნენ რუსები, ქართველები აფხაზური მხარე და გაერო. ვინაა რუსეთი ამ სიტუაციაში? კონფლიქტის მონაწილე მხარე. გაერო-ს წესდება ცალსახად კრძალავს მსგავს მოლაპარაკებებში კონფლიქტის მონაწილე მხარის შუამდგომლობას. გარდა ამისა, გაცილებით ქმედითია მოლაპარაკებების ფორმატი ჟენევაში. იქ წარმოდგენილია ყველა ქმედითი და მსოფლიოში აღიარებული, ავტორიტეტული ორგანიზაცია, ნატო-ს გამოკლებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამართლებრივადაც კი არ შეიძლება მსგავსი წინადადების შემოთავაზება, რადგან ის გულისხმობს რუსეთის მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებებში. ეს იგივეა, კონფლიქტის მოგვარება შესთავაზო მისი გაღვივების ინიციატორს, რაც აბსურდულია,"** - ამბობს მალაშხია.

ოთხმხრივი შეხვედრები ჭუბურხინჯში 2006 წლის ნოემბერში შეწყდა. ქართული მხარე იმედოვნებს, რომ გაცილებით ეფექტური შედეგის მიღწევა ჟენევის მოლაპარაკებებზე იქნება შესაძლებელი, რომელიც 17-18 დეკემბრისთვის იგეგმება.

# პრეზიდენტი მეციტრუსეებს შეხვდა

გუშინ ბათუმში საქართველოს პრეზიდენტი ციტრუსის მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს შეხვდა. მან გლობალური კრიზისის შედეგად საქართველოში მომხდარ ცვლილებებზე ისაუბრა. მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური პრობლემების გამომწვევი უფრო მეტად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია, ვიდრე აგვისტოს ომი: **"საქართველოში უახლოესი რამდენიმე თვე რთული ვითარება იქნება, თუმცა მთავარია, რომ ქვეყანაში ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული სექტორები არ ჩამოიშპლოს. მსოფლიო კრიზისის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში არ უნდა შეჩერდეს წარმოებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ქართული ციტრუსი რუსეთის ფედერაციის ბაზარზე ვერ შედის. ამიტომ პროდუქციის რეალიზაციისთვის სხვადასხვა გზებია შემუშავებული.

სააკაშვილმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ აქტიურად წარმოებს ციტრუსების ექსპორტი უკრაინაში, დღემდე გადაზიდულია 9 550 ტონა, რასაც კიდევ 3000 ტონა დაემატება.

ციტრუსის დიდი რაოდენობა შიდა ბაზრისთვისაც არის განკუთვნილი. ხოლო დარჩენილი ნაწილი საექსპორტოდ უნდა მომზადდეს. პრეზიდენტის თქმით, 25 დეკემბრიდან ამოქმედდება კიდევ ერთი ახალი იტალიური გადამამუშავებელი ხაზი, რომელიც ჩამოსხმულ წვენებს უცხოურ ბაზარზე გაიტანს.

პრეზიდენტის განცხადებით, კრიზისმა საქართველოს წარმოებასა და ტურიზმზე ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს. მეციტრუსეებთან შეხვედრაზე მყოფმა სააკაშვილმა მთავრობაში მომხდარი ბოლო საკადრო ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს დაუკავშირა. მისი თქმით, ასეთი გადაწყვეტილებების შემდეგ ქვეყანა სირთულეებს კარგად მომზადებული შეხვდება: **"გარდა ამისა, მთავრობამ უარი უნდა თქვას ზედმეტ ბიუროკრატიულ ხარჯებზე და არ დაუშვას კორუფციის ხელახლა გაჩენა. საქართველომ მოახდინა ისეთი გადანაცვლებები, რომ ჩვენი გემი უფრო გამძლე აღმოჩნდეს შტორმის პირობებში, ვიდრე რომელიმე დიდი გემი, რათა თავიდან ავიცილოთ "ტიტანიკის" ბედი,"** - განმარტა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის აზრით, საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკა "ტიტანიკის" მდგომარეობაშია. **"ნავთობის ფასი მერყეობს 35-დან 40 დოლარამდე, რუსეთს საექსპორტო სხვა პრაქტიკულად არაფერი არ გააჩნია. ამიტომაც დაუგროვდათ სახელფასო დავალიანებები უზარმაზარი რაოდენობით,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა. სააკაშვილმა ამ ქვეყანასთან საქართველოს ურთიერთობაზეც გაამახვილა ყურადღება. პრეზიდენტი მიესალმება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, თუმცა დაცული უნდა იყოს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, - განმარტა მიხეილ სააკაშვილმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# პატრიარქის მისიის შედეგი

პირველი გვერდიდან

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ლტოლვილების დაბრუნების მომხრეა. **"ჩვენ განვიხილეთ მთელი სპექტრი იმ პრობლემებისა, რომლებიც დგას ჩვენ წინაშე. უნდა ვთქვა, რომ რუსეთის პრეზიდენტი მომხრეა ლტოლვილების დაბრუნებისა და ეს ძალიან სასიხარულო სიმპტომია. შეხვედრაზე ვისაუბრეთ საზღვრების გახსნისა და საელჩოების ამოქმედების საკითხზეც. თითქმის ყველა საკითხში თანხმობა იყო. ვფიქრობ, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ჩვენი იქ ყოფნა და ეს კურსი გაარძელოს. ვფიქრობ ასევე, რომ ეს კარგ შედეგს მოგვიტანს,"** - აღნიშნა პატრიარქმა.

გუშინვე, უწმინდესსა და უნეტარესს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ეწვია.

შეხვედრის შემდეგ ვაშაძემ პატრიარქთან საუბრის შესახებ ჟურნალისტებთან მცირე კომენტარი გააკეთა.

მისი თქმით, ჰქონდა პატივი, უწმინდესისგან მოესმინა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დეტალები.

**"პატრიარქმა რუსეთის პრეზიდენტს განუცხადა, რომ საქართველოს ეკლესია და ქართველი ერი ვერ შეეგუება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას,"** - აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ვაშაძის განცხადებით, რუსეთის ხელისუფლებასთან პატრიარქის შეხვედრა საქართველოსთან დიალოგის განახლებას ნიშნავს. საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, მომავალში რუსულ-ქართული დიალოგი შესაძლოა უკვე სამთავრობო დონეზე გაგრძელდეს.

## პრეზიდენტის მადლობა

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს იმ დიპლომატიური მისიისთვის, რომელიც მან მოსკოვში ყოფნისას შეასრულა. **"მადლიერი ვარ, რომ პატრიარქმა დიპლომატიური მისიის განხორციელება თავის თავზე აიღო. იმედი მაქვს, რუსეთი სწორ პოზიციას დაიკავებს და მიხვდება, რომ რაც არ ერგება, არ შეერგება,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, საქართველო მზად არის, რუსეთთან ყველანაირ დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე, რომელიც დაფუძნებული იქნება საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარებასა და პატივისცემაზე. **"დაწყებული დიალოგი უნდა გაგრძელდეს,"** - აცხადებს პრეზიდენტი.

## შეფასებები

როგორც რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი აცხადებს, რუსეთი მიხვდა, რომ მას საერთაშორისო საზოგადოება საერთაშორისო ნორმების დარღვევას არ შეარჩენდა და პერევიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა დაიწყო.

რაც შეეხება ახალგორს, მისი თქმით, ახალგორში უმძიმესი ვითარებაა და ოკუპანტების გასვლის მხრივ დადებითი ძვრები არ შეინიშნება. **"პერევიდან რუსეთის მიერ ჯარების გაყვანის პროცესის დაწყება ბევრი რამის შედეგი შეიძლება იყოს. შეიძლება ისინი მიხვდნენ იმას, რომ სერიოზულ დარღვევებზე მიდიან და ამას არავინ შეარჩენს. პერევს უნდა მოჰყვეს ახალგორი და შემდეგ დანარჩენი საქართველო. სამწუხაროდ, ახალგორთან დაკავშირებით დადებითი ძვრები არ შეინიშნება. ახალგორში მოსახლეობა შიმშილობს, იქ არ შედის საკვები პროდუქტები, მოსახლეობა არის სეიოზული ზეწოლის ქვეშ და ადგილი აქვს ეთნიკური წმენდის ხელახალ მცდელობას,"** - აღნიშნა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია მოსკოვის მხრიდან ამ გადაწყვეტილების მიღებას დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ეს იქნება საწყისი ეტაპი პროცესების ნორმალურ კალაპოტში გადაყვანისათვის. **"რა თქმა უნდა, პატრიარქის ვიზიტმა უდიდესი როლი ითამაშა, მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს მიზანმიმართული და ხანგრძლივი ზეწოლა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. რუსეთს სხვა გამოსავალი არა აქვს, ვინაიდან იგი იმ კრიზისს, რომელსაც მსოფლიო ელოდება, ამ პირობებში თავს ვერ დააღწევს. მინდა ხაზი გავუსვა აშშ-ს სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის ბოლო განცხადებასაც. კონდოლიზა რაისი "წარმავალი ადმინისტრაციის" პოზიციიდან არ საუბრობს, რადგან ამერიკაში პოზიციები აბსოლუტურად შეთანხმებულია ობამას ადმინისტრაციასთან,"** - აღნიშნა მალაშხიამ გაზეთ "24 საათთან" საუბრისას.

ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პერევიდან ჯარის გაყვანას კონკრეტულად საქართველოს პატრიარქის რუსეთში ვიზიტს უკავშირებს.

ცაგარეიშვილის განმარტებით, პერევიდან ჯარების გაყვანა არა მარტო დროში ემთხვევა საქართველოს პატრიარქის ვიზიტს რუსეთის ფედერაციაში, არამედ ამის პირდაპირი შედეგია.

## კმაყოფილი ევროდამკვირვებლები

სოფელ პერევში ევროკავშირისა და ეუთო-ს დამკვირვებლები უკვე შევიდნენ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდებიან, რომლის შემდეგაც ჰუმანიტარული დახმარების საკითხი გადაწყდება.

ამასთან, მოსახლეობა მიიღებს გაფრთხილებას, რომ ვიდრე გამნაღმველები ტერიტორიას არ დაათვალიერებენ, თავი შეიკავონ გადაადგილებისგან. **"ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით აღნიშნულ ნაბიჯს. სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსული ძალები დიდი ხნის განმავლობაში უარს აცხადებდნენ ამ საგუშაგოს მოხსნაზე, მიუხედავად ნათელი დასტურისა, რომ საგუშაგო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის დასავლეთით მდებარეობდა. მაგრამ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის და ადგილზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაჟინებამ შედეგი გამოიღო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოცემული ქმედება, გააადვილებს პერევისა და პერევის გარშემო მცხოვრები მოსახლეობის გადაადგილებას და ხელს შეუწყობს სტაბილურობას,"**- განაცხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა, ელჩმა ჰანსიორგ ჰაბერმა, რუსების მიერ პერევის ხელახალ ოკუპაციამდე.

## პერევში მოსახლეობა ბრუნდება

სოფელ პერევში 4 თვის წინ გახიზნული მოსახლეობა ბრუნდება. **"სოფელი ოკუპანტებისგან მთლიანად გათავისუფლებულია, ყველა შეზღუდვა მოიხსნა. სოფელი პერევი ჩვენი კონტროლის ქვეშ დაბრუნდა,"** - განაცხადა საჩხერის რაიონის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ. ეს განცხადება გუშინ მანამდე გაკეთდა, ვიდრე რუსები პერევში კვლავ დაიკავებდნენ პოზიციებს.

## პერევის კვლავ დაკავების შემდეგ

გუშინ, დღის ბოლოს რამდენიმე ათეული რუსი ოკუპანტი ერთი ჯავშანმანქანის თანხლებით პერევში დაბრუნდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ ფაქტის კომენტირებისას განაცხადა, რომ რუსეთი არ იქცევა, როგორც პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე სახელმწიფო.

ხელახალი ოკუპაციის ფაქტზე კომენტარი გააკეთა საჩხერის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ. მისი თქმით, ეს გაუგებრობაა, რომელიც მალე უნდა აღმოიფხვრას. თავად, რუსი ოკუპანტების თქმით, ისინი პერევში დროებით შევიდნენ და დღეს მას შემდეგ გავლენ, რაც სოფელში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია შევა.

# ბრიშამბოს ვიზიტი დასრულდა

პირველი გვერდიდან

თემურ იაკობაშვილი ადასტურებს, რომ ქართული მხარის და ეუთო-ს პოზიციები ამ საკითხში მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

**"ეუთო-ს დამკვირვებლები დაცხრილული მანქანით კი არ უნდა დადიოდნენ, არამედ თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ცხინვალში. დამკვირვებლების მისიას მანდატის ვადა თებერვალში ეწურება და რუსეთი ცდილობს, სხვადასხვა მანიპულაციებს მიმართოს. კერძოდ, რუსული მხარე აცხადებს, რომ ეუთო-ს ოფისი უნდა გაიყოს ორად და არსებობდეს, როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე საქართველოში. ჩვენ ამას არ დავთანხმდებით და ვეცდებით, ისეთი მანდატი მივიღოთ, რომელიც კონფლიქტის ზონებში მისიის საქმიანობას უზრუნველყოფს,"** - დასძენს სახელმწიფო მინისტრი.

საქართველოში ბრიშამბოს ვიზიტს დაემთხვა სოფელ პერევიდან რუსი ოკუპანტების გასვლა. ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა ეს ფაქტი "პოზიტიურ ნაბიჯად" შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში შედეგი კიდევ უფრო მეტად ხელშესახები იქნება.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი მიიჩნევს, რომ სასურველია, ეუთო კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს იმ პროცესებში, რაც საქართველოში ხდება, ვინაიდან დეოკუპაციის პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ ამის გარანტიები უკვე მიიღო. ყოველ შემთხვევაში, წერეთელი აცხადებს, რომ ეუთო კვლავაც გამოიჩენს აქტიურობას - იქნება ეს ჟენევის ფორმატი, ვენის შეხვედრები თუ სხვა მოლაპარაკებები.

განსხვავებული იყო ოპოზიციასთან ბრიშამბოს შეხვედრის დროს განხილული თემატიკა. კონფლიქტების მოგვარების გარდა, ყურადღება გამახვილდა ვადამდელი არჩევნების ჩატარებისა და დემოკრატიის განვითარების საკითხებზე.

**"ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა დავაფიქსირეთ ერთიანი მოსაზრება, რომ 2009 წლის გაზაფხულზე საქართველოში უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. ეუთო სწორედ ის ინსტიტუტია, რომელთან ერთადაც საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე უნდა ვიმუშაოთ. სავარაუდოდ ამ თვის ბოლოს ან მომავალი თვის დასაწყისში შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ორგანიზაციებთან საარჩევნო კანონმდებლობის საკითხებზე პირდაპირი დიალოგის დაწყება,"** - აცხადებს "კონსერვატორი" კახა კუკავა.

საქართველოში ვიზიტის დასრულების შემდეგ ეუთო-ს გენერალური მდივანი ერევანში გაემგზავრება.

## საბურთალოს რამდენიმე ქუჩაზე გაზმომარაგება აღდგა

კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისის" პრესსამსახურის ინფორმაციით, აღდგენითი სამუშაოების შემდეგ, მოსახლეობისთვის გაზის მიწოდება გუშინ დაიწყო.

ბუნებრივი აირის მიწოდება შეწყვეტილი ჰქონდათ ცაგერის, შარტავას, გამსახურდიასა და კოსტავას ქუჩის აბონენტებს. "ყაზტრანსგაზ-თბილისი" ბოდიშს უხდის აბონენტებს დისკომფორტისთვის და მოუწოდებს მათ, უყურადღებოდ არ დატოვონ გაზის დანადგარები. ამასთან, გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ავარიებზე კომპანია პასუხისმგებლობას იხსნის. **ინტერპრესნიუსი**

## გიგა ბოკერია ჰანსიორგ ჰაბერს შეხვდა

საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გიგა ბოკერიასა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ჰანსიორგ ჰაბერის შეხვედრა.

შეხვედრაზე განიხილეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება და ბოლო პერიოდში ამ ტერიტორიებზე მომხდარი ინციდენტები.

მხარეებმა, ასევე ისაუბრეს საქართველოს ხელისუფლებასა და სადამკვირვებლო მისიას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე. **"მედიანიუსი"**

## გიორგი ბარამიძე ევროპაში სამუშაო ვიზიტს განაგრძობს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ბელგიიდან ნიდერლანდების სამეფოში გაემგზავრა, სადაც ადგილობრივ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების წარმომადგენლებთან მართავს შეხვედრებს.

ვიზიტის ფარგლებში ვიცე-პრემიერი ბარამიძე ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ჰანს ვან ბაალენს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჰენკ ორმელს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგარეო საკითხების სპიკერ მარტინ ვან დამს შეხვდა. მხარეებმა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისა და მისი მოგვარების მიზნით საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო აქტიური ჩართვის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათ ყურადღება გამახვილეს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებსა და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე.

ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წარმომადგენლობითი დელეგაცია მომავალი წლის დასაწყისში საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს. **პირველი**

## დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ

დიდი და პატარა ლიახვიდან დევნილებმა პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი მთავრობის მიერ შეთავაზებული კოტეჯების სანაცვლოდ, 35 ათას ლარს მოითხოვენ. აგვისტოს ომის დროს დაზარალებულების თქმით, აშენებული სახლები მინიმალურ საცხოვრებელ პირობებსაც ვერ აკმაყოფილებს და შესაბამისად, ისინი ამ შენობებში არ იცხოვრებენ.

მათი განცხადებით, უკვე მეხუთე დღეა, რაც საპროტესტო აქციებს მართავენ, თუმცა ამ დრომდე მათთან ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ მისულა. დევნილები საპროტესტო მანიფესტაციების გამართვას პერმანენტულად აპირებენ მანამ, სანამ სახელმწიფო მათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და კოტეჯის ნაცვლად 35 ათას ლარს არ გადასცემს. **მედიანიუსი**

## გოკა გაბაშვილი: "ერი და ბერი ერთად დგას"

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერ გოკა გაბაშვილის შეფასებით, საქართველოს პატრიარქთან საუბრისას ტონის შეცვლა ისეთ არაადამიანურ და აგრესიულ რეჟიმებსაც უწევთ, როგორიც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებაა. "რუსეთის ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ როცა საქმე ქვეყნის ერთიანობას ეხება, საქართველში ერი და ბერი ერთად დგას," - დასძინა ჟურნალისტებთან საუბრისას გოკა გაბაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "თურქეთის პრესა რუსულ გავლენას განიცდის"

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგოშიძე თურქეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და თურქეთის ქართველობის მიერ შექმნილი საინფორმაციო გამოცემების თანამშრომლობის საკითხები. გაგოშიძის თქმით, "თურქეთში ფუნქციონირებს რადიო "ჩვენებურები", რომელსაც 50 ათასამდე მსმენელი ჰყავს. მომავალში რადიოს კიდევ უფრო გაფართოება იგეგმება. თურქეთის ქართულ დიასპორასთან ერთიანი საინფორმაციო სააგენტოც უნდა შეიქმნას, რადგან თურქეთის პრესა ამჟამად რუსეთის გავლენას განიცდის," - განმარტა მინისტრმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოქრუაშვილის მოძრაობა ახალაიებს საფრთხედ მიიჩნევს

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ბაჩო ახალაიას დანიშვნის გამო თავდაცვის ექს-მინისტრის პოლიტიკურმა მოძრაობამ სპეციალური განცხადება გაავრცელა: "სააკაშვილის სკანდალური სამთავრობო ცვლილებების ყველაზე დიდი თავხედობა ბაჩო ახალაიას მინისტრის მოადგილედ დანიშვნაა. როლანდ ახალაია და მისი ორივე შვილი დათა და ბაჩო სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან და მათი ხელისუფლებაში ყოფნა საფრთხეს უქმნის საზოგადოებას," - აღნიშნავს პოლიტიკური მოძრაობა "ერთიანი საქართველოსთვის". **ჯი-ეიჩ-ენი**

## მიხეილ სააკაშვილი - ქართული საფინანსო სისტემა რამდენიმე ასეული მილიონი ლარის დახმარებას მიიღებს

ქართული საფინანსო სისტემა მომავალ წელს რამდენიმე ასეული მილიონი ლარის დახმარებას მიიღებს.

როგორც დღეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში ციტრუსების მწარმოებლებთან და ექსპორტიორებთან საუბრისას განაცხადა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ეს დახმარება საშუალებას მისცემს ბანკებს, გააუმჯობესონ კრედიტების გაცემის სისტემა. სააკაშვილის განცხადებით, დღეს მთავარი პრობლემა კრედიტების გაცემაა.

რაც შეეხება იაფი კრედიტების პროგრამას, პრეზიდენტის თქმით, ის გაგრძელდება. დღეისთვის 45 მლნ. ლარის იაფი კრედიტია გაცემული და, როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ბევრ კრედიტორს სახელმწიფომ თანხის დაფარვის ვადა, შექმნილი ვითარების გამო, გადაუვადა.

## საშუალო საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 386.6 მლნ ლარი შეადგინა

საშუალო საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ, 2008 წლის მე-3 კვარტალში, 386.6 მლნ ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ - 208.5 მლნ ლარი შეადგინა.

საშუალო საწარმოებში საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 283.3 მლნ ლარი, გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა -177.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ კაპიტალში 15.7 მლნ ლარი შეადგინა.

საშუალო ბიზნესში საანგარიშო პერიოდში დასაქმებულია 60 909 პირი, რომელთა საშუალო ხელფასი თვეში 371.9 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება მცირე ბიზნესს, ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2008 წლის მე-3 კვარტალში გამოკვლეული მცირე საწარმოების მთლიანმა ბრუნვამ 396.4 მლნ ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ - 202.6 მლნ ლარი შეადგინა.

მცირე საწარმოებში საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 317.5 მლნ ლარი, გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 212.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ კაპიტალში 4.6 მლნ ლარი შეადგინა. მცირე ბიზნესში დასაქმებულია 69 979 პირი, რომელთა საშუალო თვიური ხელფასი 285.7 ლარს შეადგენს.

## ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.6525 ლარის ნიშნულზე შენარჩუნდა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.6525 ლარის ნიშნულზე შენარჩუნდა.

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2008 წლის 12 დეკემბერს მყიდველის სტატუსით მონაწილეობდა რვა კომერციული ბანკი და გამყიდველის სტატუსით ეროვნული ბანკი. დაიდო რვა საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 12 100 000 აშშ დოლარი შეადგინა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.6525 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების მხრიდან თავდაპირველმა მოთხოვნამ 12 100 000 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მიწოდება არ ყოფილა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი/1.6525 ლარი.

13 დეკემბრიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.6525 ლარი.

## "გაერთიანებული ტელეკომს" ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლას 2 წლით უვადებენ

"გაერთიანებული ტელეკომს" ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლას 2 წლით უვადებენ. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციტივა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში შეიმუშავეს.

კანონპროექტის თანახმად, ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემაზე გადასვლა 2009 წლის ნაცვლად, 2011 წლის პირველ იანვრამდე უნდა მოხდეს. კერძოდ, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ოპერატორები, საუწყებო ქსელების მფლობელი პირები და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლები ვალდებულები არიან, ქსელის სისტემათა ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასთან შესაბამისობა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ.

ამავე კანონპროექტით, სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების ვადად 2011 წლის 1 მაისი განისაზღვრება.

კომიტეტში ამბობენ, რომ ნუმერაციის ეროვნული სისტემის დანერგვა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების, კერძოდ კი ფიქსირებული სატელეფონო ქსელების ანალოგურიდან ციფრული სისტემით სრულად გადაიარაღების შემდეგ, რაც დროს და ელექტრონული საკომუნიკაციო კომპანიების მხრიდან მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებების გაღებას მოითხოვს.

კომიტეტში აცხადებენ, რომ 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ელექტრონული საკომუნიკაციო კომპანია "გაერთიანებულ ტელეკომს" ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი სატელოფონო სადგურების მხოლოდ 53,2% ჰქონდა ციფრულ სისტემაზე გადაყვანილი. მათი თქმით, არსებული პროგნოზით "გაერთიანებული ტრელეკომი" 2009 წლის ბოლოს დაასრულებს ქსელების გადაიარაღების პროცესს, რის შემდეგაც შესაძლებელია, დაიწყოს ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლის ფართომასშტაბიანი სამუშაოები.

კანონონპროექტის ავტორიც და ინიციატორიც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტია.

# ლარის კურსი და ქოთნის ყური

ვანო ჩხაიძე




ნოემბერში ლარის კურსი მკვეთრად დაეცა. ცხადია, წინასწარაც ნათელი იყო, ასეთ შანსს ოპოზიცია ხელიდან ვერ გაუშვებდა, მაგრამ შენ თუ ქვეყანა გიყვარს, ასეთ დროს მით უფრო არ უნდა დაკარგო ობიექტურობა. ცალმხრივი არ უნდა იყო და თუ საჭიროა, ხელისუფლება თუ თავის მართლებას დამაკმაყოფილებლად ვერ ახერხებს, მისი "ადვოკატობაც" უნდა იკისრო, რათა ხალხს დაბალანსებული, სწორი წარმოდგენა შეექმნას.

რადგან ამ ფაქტზე მხოლოდ უარყოფითი უამრავი ითქვა, ანუ ოპოზიციურმა ექსპერტებმა არც ერთი "სატოპკე" არ გაუშვეს ხელიდან, მე შევეცდები ცოტათი წონასწორობაში მოვიყვანო ხელისუფლების "გათათხვის" ეს მცდელობა.

რა თქმა უნდა, ამ თემაზე ზუსტი ციფრობრივი მონაცემები არ გამაჩნია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს ხელს არ შემიშლის ლოგიკაზე დამყარებული სიმართლე მოსახლეობისთვისაც გასაგებად და დამაჯერებლად წარმოვაჩინო.

ჯერ აღვნიშნავ, რომ, როცა ქვეყანას თავისი ფულის ერთეული რაიმე მყარ ვალუტაზე აქვს მიბმული, აქ ეკონომიკა თითქმის არაფერ შუაშია. ასეთ დროს უმარტივეს არითმეტიკასთან და პოლიტიკური მიზანშეწონილობის შეფასებასთან უფრო გვაქვს საქმე.

სქემა რომ მარტივ მაგალითზე ავხსნა, წარმოვიდგინოთ, გამოვუშვი ფული სახელად, ვთქვათ, "დუკატი", რომელიც მივაბი ევროს თავდაპირველი კურსით 1 ევრო = 3 დუკატს. ამისათვის სეიფში შევინახე 1000 ევრო, ბრუნვაში კი გავუშვი 3000 დუკატი. ჩემი ფულის კურსი სრულყოფილად მყარია და ყოველთვის მზად ვარ ყოველი 3 დუკატი 1 ევროზე გადავახურდავო. როგორც წესი, მაქვს "მარჟა" და ამ გადახურდავებას გაყიდვისას ოდნავ ძვირად, შესყიდვისას კი იაფად ვახდენ (ისევე, როგორც ნებისმიერ გაცვლით პუნქტში). გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, თუ არაფერი მოვაკელი, სეიფში თანხა გაიზრდება. ვთქვათ, გახდა 1500 ევრო. ჩემი "პოლიტიკური" გადასაწყვეტი იქნება, მაშინ როცა ბრუნვაში ისევ 3000 დუკატია, ახალი "წონასწორობის" კურსი ავიღო ორიენტირად 1 ევრო = 2 დუკატს, თუ დავტოვო ძველი კურსი 1 ევრო = 3 დუკატს უცვლელად და ამისათვის ან სეიფიდან ავიღებ ზედმეტ 500 ევროს, ან ბრუნვაში გავუშვა დამატებით 1500 დუკატი (ამ უკანასკნელ შემთხვევაში სეიფში გამიხდება 1500 ევრო, ბრუნვაში კი 4500 დუკატი - ანუ ისევ სამჯერ მეტი). როგორც მკითხველი ხედავს, ჩემს ეკონომიკურ სიმძლავრეებთან ჩემი დუკატის სიმყარეს არაფერი აკავშირებს. ერთადერთი, რაც მოითხოვება, და ეს ბუნებრივად მოხდება, ჩემს სავაჭრო პუნქტებში ევროსთან შედარებით სამჯერ და მეტჯერ უფრო იაფი უნდა ღირდეს ყველაფერი, რაც მხოლოდ დუკატზე გაიყიდება.

თუ ამავე სქემას სახელმწიფო მასშტაბში წარმოვიდგენთ, ბევრი არაფერი იცვლება. ბრუნვაში არსებული ლარის მასის გასაწონასწორებლად ეროვნულ ბანკში უნდა გვქონდეს იმ მყარი ვალუტის, რომელზეც მიბმული გვაქვს ლარი (აშშ დოლარის), ხელუხლებელი რეზერვი, და, გარდა დოლარისა, როგორც მსმენია, წონასწორობისათვის, დოლართან შედარებით ნაკლები ხვედრითი წილით, ჯერ კიდევ ვიყენებთ ოქროს და შესაძლოა სხვა მყარ ვალუტებსაც, როგორიცაა საკუთარ მდგრად და საიმედო ეკონომიკურ გარემოზე (და არა სხვის ვალუტაზე) მიბმული ევრო და გირვანქა სტერლინგი.

მოკლედ, თუ უზრუნველყოფაში გვაქვს 1 მილიარდი დოლარი, ხოლო ბრუნვაში არის 2 მილიარდი ლარი, თუ არც ერთი არ შევცვალეთ, კურსი მუდმივად დარჩება 1 დოლარი = 2 ლარს. ასეთ დროს კურსის იძულებითი ცვლილება, როგორც წესი, მხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტს შეუძლია გამოიწვიოს, ანუ როცა საბიუჯეტო ხარჯები მეტი აღმოჩნდება, ვიდრე შემოსავლები, მაშინ ან ცალმხრივად, უზრუნველყოფას უნდა მოაკლდეს თანხა, ან ბრუნვაში გაშვებული თანხა ცალმხრივად (უზრუნველყოფის გარეშე), "ცარიელი" ემისიით უნდა გაიზარდოს.

თუ ეს დაახლოებით ასეა, წარმოვიდგინოთ პირობითი რიცხვების სახით, რომ ეროვნულ ბანკში ე.წ. კრიზისამდე ჩვენ გვქონდა 800 მილიონი დოლარი, 200 მილიონი ევრო, რომელიც უდრიდა 300 მილიონ დოლარს, 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი, რომელიც უდრიდა 200 მილიონ დოლარს და 200 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო, რაც საერთო ჯამში იყო 1 მილიარდ 500 მილიონი დოლარის ეკვივალენტი, ხოლო ბრუნვაში გაშვებული იყო, მაშინდელი კურსით, 1,4-ჯერ მეტი ანუ დაახლოებით 2,1 მილიარდი ლარი.

ახლა კი, საფინანსო კრიზისის დადგომის შემდეგ, აშშ-ის მიერ თუნდაც ნავთობის ყიდვა-გაყიდვის გამო დოლარის გამყარების ფონზე ისევ პირობითი რიცხვებით გადავითვალოთ იგივე აქტივები. ისევ გვაქვს 800 მილიონი დოლარი, 200 მილიონი ევრო, რომელიც ახლა უკვე უდრის ნაკლებს - ვთქვათ 250 მილიონ დოლარს, 100 მილიონი ფუნტი სტერლინგი, რომელიც ახლა უდრის ასევე ნაკლებს - ვთქვათ 150 მილიონ დოლარს და პირობითად ორჯერ გაიაფებული, ვთქვათ ახლა უკვე 100 მილიონ დოლარის ღირებულების იგივე, ძველი რაოდენობის ოქრო, რაც საერთო ჯამშიც არის ნაკლები - უკვე 1 მილიარდ 300 მილიონი დოლარის ეკვივალენტი, ხოლო ბრუნვაში გაშვებულია ისევ 2,1 მილიარდი ლარი.

ნათელია, რომ წონასწორობის კოეფიციენტი ანუ ლარის ობიექტური კურსი შეიცვლებოდა და სწორი, ნამდვილი რიცხვების (რაც ჩემთვის უცნობია) შემთხვევაში, სულაც არ მიკვირს, თუ სწორედ 1,65 გახდა. აქ უკვე მართლაც ხელისუფლების გადასაწყვეტი იყო: 1) ან ძველი 1,4 კურსი უცვლელი დაეტოვებინათ (ამისთვის ხელუხლებელი რეზერვი უნდა შეევსოთ და მაშინ, როცა დოლართან მიმართებაში ყველა სხვა ვალუტა გაუფასურდა, ხელოვნურად, შესაძლოა ევროპელ პოლიტიკოსთა გამაღიზიანებლადაც, "ჯიუტად" ურყევად დაეჭირათ ძველი კურსი); 2) ან ახალი, ობიექტური წონასწორობის კურსი გამოეცხადებინათ, ძველი კურსის აღსადგენად საჭირო თანხა კი, ვთქვათ, ლტოლვილთა ახალი ნაკადისთვის მინიმალური პირობების შესაქმნელად გამოეყენებინათ. მართალია, ვმარჩიელობ, მაგრამ პირველ რიგში ეს მოტივი უფრო იმიტომაც წარმოვიდგინე, რომ მათთვის შეპირებულმა თანხებმა დააგვიანა, ზამთარი კი არ იცდიდა. ბევრი სხვა აუცილებელი დანიშნულებითაც შეიძლება ამ თანხის (ზეპირი გათვლებით დაახლოებით 200-300 მილიონის) ხარჯვა სრულიად გამართლებული ყოფილიყო, მაგრამ იმ როყიო, დემაგოგიურ განცხადებებს ნამდვილად ვერ გავიზიარებ, რომ ამ გზით, ვიღაცეებმა ხელისუფლებაში ორგანიზებულად მოითბეს ხელი. ვერ გავიზიარებ არა იმიტომ, რომ მე მათი უმწიკვლობა უპირობოდ მჯერა, უფრო იმიტომ, რომ პირადად არც ერთს არ ექნებოდა, ასე მოულოდნელად, მნიშვნელოვანი თავისუფალი თანხა და თანაც ლარებში შენახული და რომც ჰქონოდა, ასეთი ფართო მასშტაბიანი გადახურდავებები არც პიროვნული და მით უფრო ჯგუფური, თანაც უშუალოდ კურსის ცვლილების წინ, ვერ დაიმალებოდა. თუ ვინმეს მაინც ეეჭვება, არც ახლა და არც არასდროს იქნება გვიან ამ ფაქტების შემოწმება. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში შეიძლება ჰიპოთეტურად წარმოიდგინოს ადამიანმა, ეს იმ კომერციული ბანკებს შეეეწყოთ ხელი, რომელთაც თანხები საერთაშორისო წყაროებიდან დაბალი პროცენტით დოლარებში აქვთ ნასესხები, თან თუ აქტივები ნორმის ფარგლებში დოლარებში ჰქონდათ კონვერტირებული, ხოლო დეპოზიტებით წარმოშობილი ვალდებულებები მნიშვნელოვანწილად ლარებში ჰქონდათ გამოხატული. ამ შემთხვევაში შედეგად ვღებულობთ, რომ ბანკებს ფინანსური მდგომარეობა უუმჯობესდებათ და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ბანკები ამ კრიზისის დროსაც პირნათელ და საიმედო პარტნიორის სახეს უფრო იოლად შეინარჩუნებდნენ. ვის ხარჯზე? რა თქმა უნდა, იმათ ხარჯზე, ვისაც ამ ბანკებში ლარი ჰქონდათ შენახული, თუმცა მათ, ვისაც ერთი წელი მაინც ჰქონდათ ეს ლარები შენახული, ისინი ხომ მაინც მოგებული დარჩენ (1 წლით ადრინდელ კურსს 1,7-ს ახალი 1,65 მაინც სჯობს და თან ლარში უფრო მაღალი პროცენტი სარგებელი ჰქონდათ, ვიდრე დოლარში მიიღებდნენ). ყველაფერი ეს ჯამში კი ქვეყნის ობიექტურ იმიჯს შინაც და გარეთაც უთუოდ უფრო დადებითად წარმოაჩენს, ვიდრე უარყოფითად.

ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასარგებლოდ ვიტყოდი იმასაც, რომ თუ არა დოლარის კურსის გამყარება ლართან მიმართებაში, ალბათ გაზის მოწოდებაში სასურველ ფასზე გრძელვადიანი შეთანხმება უფრო გართულდებოდა.

რატომ დავწერე ეს სტატია და რატომ მომყავს ხელისუფლებისათვის სასარგებლო არგუმენტები? იმიტომ, რომ ამჯერად მართლა გავღიზიანდი ოპოზიციური სისულელეებით. მართლა ქვეყნის და მისი ეროვნული ვალუტის ინტერესებშია თუნდაც ისეთი, დანაშაულის ტოლფასი განცხადების განეიტრალება, როცა ტელევიზიით "ექსპერტი" სახალხოდ აცხადებს, რომ იცის, რომელი მიმართულებით და სანამდე შეიცვლება ლარის კურსი, სინამდვილეში კი ამის არავითარი ობიექტური საფუძველი არ აქვს, არც არაფერი იცის და არც შეიძლება იცოდეს. იცის მხოლოდ ის, რომ ასეთი განცხადებით, თუ ხალხი ენდო, ლარს მართლა სერიოზულ დარტყმას მიაყენებს, შესაბამისად მისი გათვლით ხელისუფლებასაც მიადგება ზიანი, თვითონ კი შესაძლოა რაღაც მოიგოს. მოკლედ, ზოგნი თავს ისეთ "გენიოსად" თვლიან, რომ ჩვენნაირ გაუცნობიერებელ აუდიტორიაში ქოთანს ყურს ყველა მხარეს, თუ ისურვეს, ქვემოდანაც კი მოაბამენ.

# ომბუდსმენის ანგარიშის საკომიტეტო მოსმენა

*სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ხელისუფლებას ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში, კერძო საკუთრების ხელყოფასა და სიტყვის თავისუფლების შელახვაში ადანაშაულებს. ეს განცხადება სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე, 2008 წლის პირველი ნახევრის ანგარიშის წარდგენისას გააკეთა. მართალია, ომბუდსმენის ანგარიშში დეპუტატებისთვის კარგად ნაცნობი ფაქტები იყო დასახელებული, მაგრამ მოსმენამ მაინც ხმაურით ჩაიარა. ომბუდსმენის ანგარიშში დასახელებულ ფაქტებს საპარლამენტო უმრავლეობის უკმაყოფილება მოჰყვა, ომბუდსმენმა კი ისინი გულგრილობაში დაადანაშაულა.*

ომბუდსმენის განცხადებით, ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, რეაგირება მხოლოდ იმ შემთხვევებზე ხდება, რომელსაც პოლიტიკური დატვირთვა და შინაარსი არ გააჩნია, ყველა სხვა შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს სისტემურ და მიზანმიმართულ დანაშაულებს, რომელთა გამოსწორების პოლიტიკური ნება არ არსებობს.

**"საქართველოში ითრგუნება სიტყვის თავისუფლება და მე, როგორც სახალხო დამცველს, პირში წყლის ჩაგუბების უფლება არ მაქვს,"** - განაცხადა სოზარ სუბარმა.

ომბუდსმენმა კიდევ ერთხელ დაგმო ტელეკომპანია "იმედის" დარბევის ფაქტი და განაცხადა, რომ "მეპატრონეს ტელეკომპანია უკანონოდ ჩამოართვეს".

**"ტელეკომპანიაში ჟურნალისტებს სცემეს, რეზინის ტყვიები ესროლეს, ქუჩაში დარჩენილებს კი დევნიდნენ. იმაზე, რაც "იმედის" დარბევასთან დაკავშირებით მოხდა, პასუხისმგებლობა შს მინისტრისთვის ვანო მერაბიშვილისთვის უნდა დაეკისრებინათ,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.

ომბუდსმენი ასევე, კერძო მესაკუთრეთა უფლებების დარღვევას შეეხო და აღნიშნა, რომ, თუკი საპარლამენტო კომიტეტის ნება იქნება, იგი პარლამენტში აბანოების ყოფილ მესაკუთრეებს მიიყვანს, რომლებიც, თავის მხრივ, იმ ჩინოვნიკთა, პროკურორთა გვარებს დაასახელებენ, რომლებმაც კუთვნილი ქონება უკანონოდ ჩამოართვეს.

სახალხო დამცველის განცხადებით, კერძო მესაკუთრეთა უფლებების დარღვევა პრობლემად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ რამდენჯერმე გააკეთა განაცხადი ამ პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

ომბუდსმენის ამ განცხადებამ უმრავლესობის გაღიზიანება გამოიწვია. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილმა მას გაახსენა მიმდინარე წლის 14 იანვარს პრეზიდენტთან შეხვედრის დეტალები, სადაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა სუბარსა და მაშინდელ გენპროკურორ ეკა ტყეშელაშვილს ერთობლივი მუშაობა დაავალა.

**"მაინტერესებს, ამ ერთობლივი მუშაობის დროს თქვენ რა გააკეთეთ?"** - ასეთი შეკითხვით მიმართა არსენიშვილმა სუბარს.

**"ამ შეხვედრიდან ერთ კვირაში სახალხო დამცველის აპარატმა გენპროკურატურის მონაწილეობის გარეშე შეიმუშავა კანონპროექტი საკუთრების დაცვის გაძლიერების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის წარმომადგენლებმა სიტყვიერად ეს კანოპროექტი მოიწონეს, მისი მიღება რატომღაც არ მოხდა,"** - ასეთი იყო ომბუდსმენის პასუხი. იმის გამო, რომ საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობამ ომბუდსმენის ოპერატიული ინიციატივა არ გაიზიარა, სახალხო დამცველმა კომისიის ფიქტიურ თავმჯდომარეობაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ, თუ კანონი არ ამოქმედდებოდა, კომისიის მუშაობას აზრი არ ექნებოდა. ომბუდსმენის ამ ნაბიჯს არანაირი პასუხი არ მოჰყოლია, მეტიც, ხელისუფლება აღარც დაინტერესებულა კომისიის არსებობით.

არსენიშვილის მოადილე ეკა ხერხეულიძემ სუბარი არაარგუმენტირებულობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მას კერძო საკუთრების ხელყოფასთან დაკავშირებით დასახელებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია. ამის მაგალითად ხერხეულიძემ "ჭრელი აბანოს" მეპატრონეების საქმე დაასახელა.

სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე მოხსენებულია გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილისა და სოდ-ის უფროსის ერეკლე კოდუას გახმაურებული საუბრის ჩანაწერი.

**"ეს ჩანაწერი ნიკა გვარამიას მიერ მხოლოდ და მხოლოდ პატარკაციშვილის სახელისა და რეიტინგის შესალახად იყო დამონტაჟებული,"** - განაცხადა სოზარ სუბარმა, რომელმაც უგზო-უკვლოდ დაკარგულ დავით ცინდელიანის საქმეზეც ისაუბრა, როინ შავაძის ცნობილ საქმესაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ შავაძის მკვლელობის გამოძიების მოტივი უკანონოა, ხოლო მისი ოჯახის მიმართ ზეწოლის ფაქტები დღემდე გრძელდება.

**"აღნიშნულ ფაქტებზე გენერალური პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს, თუმცა ჯერ არავინ დასჯილა,"** - განაცხადა ომბიდსმენმა, რომელმაც საპატიმროებში არსებულ გაუსაძლის პირობებზეც ისაუბრა.

ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილმა განაცხადა, რომ კომიტეტი მზად არის სახალხო დამცველის ანგარიში პარლამენტის სესიაზე უახლოეს პერიოდში განიხილონ. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, განხილვა წლის ბოლომდე მოხდება თუ საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდება.

**"ახლა ისეთ პერიოდში ვცხოვრობთ, რომ ძნელი სათქმელია, კიდევ რა საფრთხეები გველოდება, ამიტომ, ჩვენი რეკომენდაციაა, რაც შეიძლება მალე მოხდეს ანგარიშის განხილვა,"** - აცხადებს გია არსენიშვილმა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ეკა ხერხეულიძემ ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენის შემდეგ განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ოპოზიციონერმა დეპუტატმა სადეპუტატო მანდატებზე უარი იმიტომ თქვეს, რომ ხელისუფლების დამხობის საფრთხის შესახებ წინასაწარ იცოდნენ. ხერხეულიძემ ოპოზიციის წარმომადგენლებს "შეთქმულების წევრები", "იმედის" შენობას კი, "შეთქმულთა შტაბი" უწოდა. დეპუტატის აზრით, ოპოზიციის ამ ნაწილმა იცოდა ხელისუფლების სამხედრო გზით დამხობის მცდელობის შესახებ, ამ გზით ხელისუფლებაში მოსვლის იმედი ჰქონდათ და მანდატებზეც უარი ამიტომ თქვეს.

ოპოზიცია ხერხეულიძემ მას შემდეგ გააკრიტიკა, რაც

კომიტეტის სხდომაზე სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა 2007 წლის 28 ოქტომბერს ზუგდიდში პარლამენტის წევრების ცემის ფაქტზე, 7 ნოემბერს "ტელეიმედისა" და ჟურნალისტების დარბევის, კობა დავითაშვილის ცემის შესახებ და სხვა გახმაურებელ მოვლენებზე ისაუბრა და პასუხიმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა.

ეკა ხერხეულიძემ განაცხადა, რომ 7 ნოემბრის საღამოს, "იმედის" ოფისში, კახა კუკავა და ზვიად ძიძიგური შიშველი ხელებით იმყოფებოდნენ, მაგრამ "ხელისუფლების დასამხობად ბადრი პატარაკაციშვილი კბილებამდე შეიარაღებული მოდიოდა". ეკა ხერხეულიძის ამ შეფასებებს კომიტეტის სხდომაზე ხმარი მოჰყვა, რის შემდეგაც დეპუტატმა დააკონკრეტა, რომ ეს მისი სუბიექტური პოზიციაა

სხდომის დასრულების შემდეგ, ომბუდსმენმა ჟურნალისტებთან სუბრისას განაცხადა, რომ ანგარიშის განხილვით კმაყოფილი არ არის, ვინაიდან, მის გამოსვლას არაადეკვატური შეფასებები მოყვა. ომბუდსმენის განცხადებით, მისთვის მთავარი მაინც ანგარიშის სესიაზე განხილვა იქნება.

**"არის რამდენიმე საკითხი, რაზედაც აქამდე არ მისაუბრია. ეს გავაკეთე შეგნებულად, ვინაიდან, ამ საკითხებთან დაკავშირებით სესიაზე მინდა მოვისმინო დეპუტატთა მოსაზრება,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.

თავის მხრივ, "ახალგაზრდა იურისტთა ასიოციაციის" თავმჯდომარე თამარ ხიდაშელმა პარლამენტი სახალხო დამცველის მიმართ ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა.

**"იმის ნაცვლად, რომ გაჟღერებული ფაქტები სერიოზულად იყოს განხილული და პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე რეაგირება მოახდინოს, პარლამენტს ომბუდსმენის მიმართ ანტაგონისტურ დამოკიდებულებას ვამჩნევ, რაც სრულიად მიუღებელია,"** - განაცხადა თამარ ხიდაშელმა.

უმრავლესობის წარმომადგენლებმა და მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილმა ხიდაშელის ბრალდება უარყვეს.

**"რა ანტაგონისტურ დამოკიდებულებაზეა საუბარი, როცა სახალხო დამცველის ოფისს ორმილიონიან ბიუჯეტს ვუმტკიცებთ,"** - განაცხადა არსენიშვილმა.

უმრავლესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ელდარ კვერნაძემ კი საია-ს თავმჯდომარეს კონტრარგუმენტით უპასუხა.

**"გაუგებარია, სად შენიშნა ახალგაზრდა ქალბატონმა ანტაგონისტური დამოკიდებულება, მაშინ, როდესაც სუბარს ცხელი ჩაიც კი მიართვეს მას შემდეგ, რაც ნახეს, რომ გაციებულია და ყელი ტკივა,"** - განაცხადა კვერნაძემ.

## ადვოკატები ასოციაციის ახალ თავმჭდომარეს აირჩევენ

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა საერთო კრება ასოციაციის ახალ თავმჯდომარეს აირჩევს. ადვოკატთა საერთო კრება დღეს ვერის ბაღში მდებარე საკალათბურთო დარბაზში ჩატარდება. გარდა თავმჯდომარისა, კრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის საბჭოს გამოკლებულ წევრთა სანაცვლოდ ახალ წევრებს აირჩევს. მოხდება ასევე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის არჩევაც. დაგეგმილია ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის 2008 წლის ანგარიში და 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. **მედიანიუსი**

## შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა შვილის მკლველობაში ეჭვმიტანილი დააკავეს. როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, 1954 წელს დაბადებული ამირან გაბუნია ეჭვმიტანილია ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სანადირო თოფის გამოყენებით შვილის, 1980 წელს დაბადებულ ნოდარ გაბუნიას მკვლელობაში. მიმდინარეობს გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით. **ინტერპრესნიუსი**

## თანამშრომლობა გერმანელ კოლეგებთან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობას აგრძელებს. თანამშრომლობის ფარგლებში სააღსრულებო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხზე ქართველ და გერმანელ აღმასრულებელთა ჯგუფის ერთობლივი მუშაობა იგეგმება. გერმანული მხარის დახმარებით, აღმასრულებელთათვის სამაგიდო წიგნი "კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების" კრებული გამოიცემა. ამასთან, ქართველი აღმასრულებლებისთვის სემინარებიც იგეგმება. აღნიშნული ღონისძიებები ნოემბრის ბოლოს გერმანიაში საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელთა ვიზიტისას დაიგეგმა. **პირველი**

## გალის მილიციის წარმომადგენლები გადასახადის შესაგროვებლად დადიად

გალის მილიციის წარმომადგენლები ყოველწლიური გადასახადის შესაგროვებლად კარდაკარ სიარულს იწყებენ. როგორც გალის რაიონის მოსახლეობა აცხადებს, გუშინწინ, სოფელ ფიჩორში აფხაზი პოლიციელები ყოველწლიური გადასახადის მოთხოვნით ჩავიდნენ.

"გვეუბნებიან, "მიწა ჩვენია და სარგებლობისთვის ყოველ ჰექტარზე 500 რუბლი უნდა გადაიხადოთო, სახლს გარეთ შემოკავებულ ნაკვეთებზე კი - ჰექტარზე 1500 რუბლი". ასევე გვითხრეს, რომ "უპატრონო" სახლებში თხილის მოსავალს დღეიდან თვითონ აიღებენ," - აცხადებენ ფიჩორელები. აღსანიშნავია, რომ აფხაზი სეპარატისტების მიერ "უპატრონოდ" წოდებულ სახლებში მოსახლეობა პირობების არარსებობის გამო ვერ ცხოვრობს და იქ მხოლოდ თხილის მოსავლის ასაღებად ჩადიოდა. **პირველი**

## სემინარი მთავარ პროკურატურაში

საქართველოს მთავარ პროკურატურაში კორუფციულ დანაშაულთა გამოძიების საკითხებზე გაიმართა სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მთავარი პროკურატურის, საოლქო და რაიონული პროკურატურების პროკურორებმა და გამომძიებლებმა. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, კრიმინალური პოლიციისა და გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ღონისძიება ევროპის საბჭოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის ორგანიზებით გაიმართა.

სემინარზე იმსჯელეს შემდეგ თემებზე: კორუფციული დანაშაულის ყველაზე გავრცელებული ფორმები და მისი კვალიფიკაციის პრობლემა გამოძიების პროცესში, კორუფციული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების როლი კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ. სემინარს ევროსაბჭოს მიერ მოწვეული ქართველი და უცხოელი ექსპერტები უძღვებოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

# ქართველი მოსამართლეები გერმანიას ეწვევიან

*14-19 დეკემბერს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიწვევით, გაიმართება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მოსამართლეთა საინფორმაციო ვიზიტი გერმანიაში.*

ვიზიტში მონაწილეობას მიიღებენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდოამრის პირველი მოადგილე მიხეილ გოგიშვილი და უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო პალატის სრული შემადგენლობა.

ვიზიტის მიზანია ქართველი მოსამართლეებისთვის გერმანიის სასამართლო მოწყობისა და სამოქალაქო წარმოების თავისებურებების გაცნობა. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებს ექნებათ შეხვედრები გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარესთან პროფესორ კლაუს ტოლკსდორფთან და დრეზდენის მიწის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან ულრიხ ჰაგენლოხთან, სადაც საუბარი ექნებათ სააპელაციო და საკასაციო წარმოების თავისებურებებსა და სამოქალაქო წარმოების სხვა საკითხებზე.

ამას გარდა, ვიზიტში მონაწილე მოსამართლეებს შესაძლებლობა ექნებათ თავად დაესწრონ გერმანულ სასამართლოებში სასამართლო განხილვებს და გერმანელ მოსამართლეებთან ერთად იმსჯელოს სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა მატერიალური და პროცესუალური საკითხებზე.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) 1975 წელს გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ დაარსებული ორგანიზაციაა, რომელიც დღესდღეისობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს. მისი მიზანია განვითარების სფეროში თანამშრომლობა და მხარდაჭერა.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) დავალებით GTZ-ი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ახორციელებს რამდენიმე პროექტს სამართლისა და იუსტიციის მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად. ამ პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს მოკლე და გრძელვადიანი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც ეწევიან საკონსულტაციო საქმიანობას და ატარებენ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს.

რეგისტრირებული კავშირი "საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის" გამგეობა იწვევს მოსამართლეთა ასოციაციის საერთო კრებას
**2008 წლის 27 დეკემბერს, 13 საათზე**

დღის წესრიგი:
1. ასოციაციის საქმიანობის წლიური შედეგების დამტკიცება;
2. ასოციაციის გამგეობის წევრის არჩევა;

ასოციაციის საერთო კრება გაიმართება შემდეგ მისამართზე:
**ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N5 (კ/თ რუსთაველი)**

### ერთწლიანი პატიმრობა

ლანჩხუთის რაიონულმა სასამართლომ მეუღლის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს ერთწლიანი პატიმრობა შეუფარდა. შემთხვევა სოფელ ჯაპანაში მოხდა. 58 წლის გრიგოლ ბარათელმა ცოლი ნაჯახით დაჭრა, შემდეგ კი თვითმკვლელობა სცადა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ბარათელმა დანაშაული აღიარა.

გამოძიების მასალებით, ქალმა მოძალადე ქმრისგან თავის დაღწევა მოახერხა, თუმცა იგი ნაჯახით მაჯის არეში დაიჭრა. გაცილებით მძიმე იყო თავად გრიგოლ ბარათელის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მან ბასრი საგნით ჭრილობები გულ-მკერდის არეში მიიყენა. ახლობლები აცხადებენ, რომ ინციდენტი ოჯახურ კონფლიქტს მოჰყვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### შეხვედრა სამემკვიდრეო საქმის წარმოების პრობლემებთან დაკავშირებით

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ორგანიზებით, 13-14 დეკემბერს, ბაკურიანში დაგეგმილია იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო საკითხთა დეპარტამენტის ნოტარიატის სამმართველოს წარმომადგენლების, ნოტარიუსებისა და მოსამართლეების შეხვედრა, სადაც სამემკვიდრეო საქმისწარმოების პრობლემების შესახებ იქნება მსჯელობა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, შეხვედრის აუცილებლობა გამოიწვია სამემკვიდრეო საქმისწარმოების სფეროში არსებულმა პრობლემებმა, რომლებიც გამოიკვეთა როგორც ნოტარიუსების პრაქტიკაში, ასევე, სასამართლო საქმისწარმოების სფეროში.

ღონისძიებაზე განიხილება ის ძირითადი საკითხები, რომელთა თაობაზეც მოსამართლეებისა და ნოტარიუსების მხრიდან აუცილებელია ერთიანი პრაქტიკის დანერგვა. განიხილება სამკვიდროს მიღებასთან, სამკვიდროზე უარის თქმასთან, სამკვიდროს მმართველის დანიშვნასთან, უარის თქმის შესახებ დადგენილებასთან და სამემკვიდრეო საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. აღნიშნული შეხვედრა, ნოტარიუსებისა და სასამართლოს ურთიერთთანამშრომლობის ფონზე, ხელს შეუწყობს მოქალაქეთათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევას და მათი უფლებების დაცვას. **ინტერპრესნიუსი**

### სპეციალური მომზადება პრობაციის ოფიცრებისთვის

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა ხუთდღიანი სემინარი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომელთათვის. ღონისძიება ევროკომისიის "სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის" პროექტის ფარგლებში 8 დეკემბერს დაიწყო. პირობით მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროებების შეფასებასა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდიკასთან დაკავშირებით სპეციალური მომზადება 70-მა პრობაციის ოფიცერმა გაიარა.

რისკისა და საჭიროებების შეფასების ფაქტორის გათვალისწინებით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემის სპეციფიკაზე და მის პრაქტიკულ ასპექტებზე ისაუბრეს შვედეთის ციხისა და პრობაციის სამსახურის წარმომადგენლებმა ოლგა ოტტიმ, სესილია ალგელუსმა და გუნჰილდ ფრიდმა. სემინარის მსმენელებს მონაწილეობის სერტიფიკატი გადაეცემათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ფოთში მოლდოვური გემი დააკავეს

ქართველმა მესაზღვრეებმა ფოთში მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავი გემი "მედკა" დააკავეს. როგორც გაირკვა, გემი ჯერ სოხუმის პორტში იყო, რის შემდეგაც ფოთის მიმართულებით გამოვიდა.

ქართველმა მესაზღვრეებმა გემი და ეკიპაჟის წევრები ფოთის პორტში გადაიყვანეს. სოხუმში გემის შესვლის მიზეზებს გამოძიება დაადგენს. **ინტერპრესნიუსი**

### ტაივანის ექს-პრეზიდენტს რამდენიმე მუხლით გაასამართლებენ

ტაივანის ექს-პრეზიდენტს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. 57 წლის ჩენ შუიბიანას ტაივანის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გაასამართლებენ. ცნობილია, რომ პროკურატურა სასამართლოში მისთვის სასჯელის მაქსიმალური ზომის შეფარდებას მოითხოვს.

პრეზიდენტის ოჯახის ირგვლივ პირველი კორუფციული სკანდალი 2006 წელს აგორდა, როდესაც მისი სიძე ფინანსური დარღვევებისთვის დააპატიმრეს.

ჩენ შუიბიანა ტაივანს 8 წლის განმავლობაში მართავდა, საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ კი 2008 წლის მაისში იგი ტაივანის ახალ ხელისუფლებას ჩინეთთან ურთიერთობის გამო მკაცრად აკრიტიკებდა

ჩენ შუიბიანას, მის მეუღლეს - უ შუჩენსა და კიდევ 12 ადამიანს ბრალი ედებათ კორუფციაში, ფულის გათეთრებაში, სახელმწიფო სახსრების გაფლანგვასა და დოკუმენტების გაყალბებაში.

ტაივანის პროკურატურაში აცხადებენ, რომ ექსპრეზიდენტი მკაცრად უნდა დაისაჯოს, რადგან მან დაარღვია დადებული ფიცი და ჩადენილი დანაშაული არ აღიარა. რაც შეეხება მის ცოლს, პროკურატურის ინფორმაციით, ყოფილი პირველი ლედი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, პოლიტიკაში აქტიურად ერეოდა და ხელი შეუწყო მმართველობის სისტემის რღვევას.

ექს-პრეზიდენტი ერთი თვის წინ დააკავეს. ის კატეგორიულად უარყოფს წარდგენილ ბრალდებებს და აცხადებს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება მას ანტიჩინური პოლიტიკის გამო დევნის. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ქართული მართლმსაჯულების უარი რუსული კომპანიის სარჩელზე

*თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ღია სააქციო საზოგადოება "მეგაფონის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 19 სექტემბრის N526/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე.*

**"სასამართლოს მიერ გამოკვლეულია საქმის გარემოებები, გამოთხოვილია შესაბამისი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული კომპანია - ღია სააქციო საზოგადოება "მეგაფონი" საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ასევე, გორსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საქმიანობას ულიცენზიოდ ეწეოდა და ავტორიზაციის გარეშე სარგებლობდა რადიოსიხშირული სპექტრით (მათ შორის ე. წ. როუმინგ მომსახურებას ეწეოდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე), რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1441 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას,"** - განმარტავენ თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლოს განმარტებითვე, აღნიშნული სამართალდარღვევა რუსეთის კომპანიამ ჩაიდინა განმეორებით, რის გამოც, ღია სააქციო საზოგადოება "მეგაფონს" დაეკისრა 500 ათასი ლარის გადახდა საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რუსული კომპანია პირველად 2008 წლის 10 ივლისს 3500 დოლარით დააჯარიმა, მეორე სანქცია კი 23 სექტემბერს დააკისრა. ჯარიმის ოდენობამ, თავდაპირველად, 360 ათას დოლარს მიაღწია.

როგორც გაირკვა, "მეგაფონი" საქართველოში უკანონოდ 2004 წლიდან მუშაობს. კომპანიამ რუსული სამხედრო ინტერვენციის დროს საქართველოს სიხშირული სპექტრის ეკონომიკური ანექსია მოახდინა. თავდაპირველად, "მეგაფონი" ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ნაწილს, კერძოდ, ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონს ფარავდა. საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსული ინტერვენციის დროს კი, კომპანიის დაფარვის არეალი გაფართოვდა და კონფლიქტის ზონას გასცდა. რუსული კომპანიის დაფარვის ზონამ მოიცვა მთლიანად ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია და გასცდა მის ადმინისტრაციულ საზღვრებსაც - მოიცვა გორისა და ქარელის რაიონები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 23 აგვისტოს შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში დაფიქსირებულია საქართველოს რადიოსიხშირული სპექტრის უნებართვოდ გამოყენების ფაქტი, რაც, ასევე ტექნიკურ პრობლემებს უქმნიდა საქართველოში ავტორიზირებული კომპანიების - "მაგთიკომისა" და "ჯეოსელის" მუშაობას.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ახალი ვერსია ლეგენდარულ ჯეკ მფატრავზე

*გაზეთ The Independent-ის განცხადებით, ასი წლის მანძილზე გასაიდუმლოებული სამედიცინო დოკუმენტაცია გამოქვეყნდა, რომელიც, სავარაუდოდ, ლონდონელი სერიული მკვლელის, ჯეკ მფატრავის ბიოგრაფიულ დეტალებს შეიცავს.*



ჯეკ მფატრავის ერთ-ერთი ფოტორობოტი.

ცნობილმა ფსიქიატრიულმა კლინიკა "ბროდმურმა" საშიში მანიაკის სამედიცინო მონაცემები გახსნა. გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ლეგენდარული ჯეკ მფატრავის ნამდვილი სახელი და გვარი ტომას ჰეინ კატბუში იყო. სამედიცინო მონაცემებში იგი დახასიათებულია, როგორც "უცნაური, მოუსვენარი და სასტიკი."

კატბუში 1864 წელს დაიბადა. იგი სამედიცინო ლიტერატურით იყო დაინტერესებული, რომელიც ზედმიწევნით შეისწავლა. 1888 წელს, მაშინ, როცა ჯეკ მფატრავზე პირველი სკანდალი ატყდა, კატბუში ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვდა. 1891 წელს ახალგაზრდა კატბუში, საბოლოოდ, შეურაცხადად მიიჩნიეს და კლინიკა "ბროდმურში" სამკურნალოდ დააწვინეს, სადაც 1903 წლამდე მკურნალობის კურსს გადიოდა.

სამედიცინო ჩანაწერებში კატბუში დახასიათებულია როგორც "სერიოზულად დაავადებული," რომელიც ადამიანებისთვის საშიშროებას წარმოადგენდა, ადამიანთა დევნის მანიით იყო შეპყრობილი. იგი მკურნალ დოქტორ ბრუკს ეჭვით უყურებდა, რადგან, ფიქრობდა, რომ მას წამლავდა და ამის გამო, მკვლელობით ემუქრებოდა.

კატბუშმა მკურნალ ექიმს ცნობილ ლონდონელ ადვოკატთან ლორდ გრიმტორპუსთანაც კი უჩივლა. მოგვიანებით კი იგი ამტკიცებდა, რომ ადვოკატიც მის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების მონაწილე იყო.

თავდაპირველად კატბუში კლინიკა "ლამბერტში" მოათავსეს, საიდანაც გაიქცა და კლინიკის მედპერსონალი სისასტიკეში დაადანაშაულა. კატბუშის გაქცევის დღეს, კლინიკის სიახლოვეს, ჯეკ მფატრავი თავს დაესხა ორ გოგონას, რომელთაგან ერთი მოკლა. იმ ღამეს კატბუში სახლში შუაღამისას დაბრუნდა, სახე ნიღბით დაიფარა - ფეკალური მასით შეიღება, რათა არავის ეცნო. თუმცა, კატბუშმა მაშინ მოახერხა მოწმის პოვნა, რომელმაც დაადასტურა, რომ ის თავდასხმის ღამეს სახლში იმყოფებოდა.

სამედიცინო ჩანაწერებში ნათქვამია, რომ კატბუში ფსიქიატრიულ კლინიკაშიც კი საშიში იყო. მორიგე ექთნის ჟურნალში წერია: "დილის 7 საათზე, როცა ვესაუბრებოდი გილბერტ კუპერს, რომელიც თავის ტკივილს უჩიოდა, კატბუში მოგვიახლოვდა და მოულოდნელად მთელი ძალით კუპერს დაარტყა."

1903 წელს, სიკვდილამდე ორი თვით ადრე, მანიაკი თავს დაესხა საკუთარ დედას, რომელმაც თავის დაცვა შეძლო. თავად კატბუშმა კი იმის გამო, რომ დედას ვერ მიაყენა ფიზიკური ტკივილი, სიმწრისგან ვენები გადაიჭრა.

ექიმებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ კატბუშის მძიმე სულიერი ავადმყოფობის საფუძველი მისი გენეტიკა იყო.

როგორც გაზეთი წერს, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ეძლევა, Berkshire Record Office-ში მივიდეს და იმ 26 დოკუმენტს გაეცნოს, რომელიც კატბუშთანაა დაკავშირებული. თუმცა, მყარი მტკიცებულება, რომ კატბუში ჯეკ მფატრავია ამ დოკუმენტებში არ არსებობს. ექსპერტების მტკიცებით, ძირითადი არგუმენტი, რომ კატბუში ლეგენდარული მანიაკია, არის ის, რომ იმ დროს, როცა ლონდონი ჯეკ მფატრავის თავდასხმებმა ააწიოკა, კატბუში კლინიკაში არ იმყოფებოდა, მისი კლინიკაში გამოკეტვისთანავე კი სერიული მკვლელობები შეწყდა.

მეორე არგუმენტი ისაა, რომ კატბუში ცხოვრობდა კენინგტონში - იმ რაიონის სიახლოვეს, სადაც მკვლელობები ხდებოდა.

კატბუშ-მფატრავზე პირველი სტატია ბრიტანული გაზეთის The Sun-ის ჟურნალისტმა 1894 წელს დაწერა. რეპორტიორმა მოსაზრება გამოთქვა, რომ ჯეკ მფატრავი იმყოფება ფსიქიატრიულ კლინიკაში. გარდა ამისა, ჟურნალისტმა ლონდონის პოლიცია დაადანაშაულა იმაში, რომ მანიაკის შესახებ ცნობები დამალა, რადგანაც კატბუში სკოტლენდ-იარდის სუპერინტენდანტის გენრი კატბუშის ძმის შვილი იყო.

The Independent-ი წერს, რომ გენრი კატბუშსაც ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და ქალიშვილის თვალწინ თავი მოიკლა.

"ლონდონის საშინელი დღეებიდან თითქმის 120 წელი გავიდა. სამწუხაროდ, არ არსებობს არანაირი შანსი იმისა, რომ ჯეკ მფატრავის საქმე როდესმე გაიხსნას. მიუხედავად იმისა, რომ ჯეკ მფატრავსა და კატბუშს შორის უამრავი საერთო არსებობს, ის მაინც ეჭვმიტანილთა სიაში რჩება," - წერს გაზეთი.

ლეგენდარული ჯეკ მფატრავის თაობაზე არა ერთი ვერსია არსებობდა. მრავალრიცხოვან ეჭვმიტანილთა შორის იყვნენ: დოქტორი ფრენსის ტამბლეტი, დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილი - პრინცი ალბერტი, ჰერცოგი კლარნესი, მხატვარი უოლტერ სიკერტი და სხვები.

ჯეკ მფატრავმა ბოლო მსხვერპლი 1888 წლის ნოემბერში მოკლა, რითაც 11-თვიანი სასტიკი მკვლელობების სერია დაასრულა.

მეცნიერები და დეტექტივები დღემდე მუშაობას აგრძელებენ იმ მანიაკის ვინაობის დასადგენად, რომელმაც მე-19 საუკუნის მიწურულს ლონდონი პანიკაში ჩააგდო. მეტიც, არსებული მონაცემების საფუძველზე შედგა ბოტორობოტიც, თუმცა, რეალური პიროვნების რეალურად დადგენა დღემდე ვერ მოხერხდა.

# რუსეთის კონსტიტუციის 15 წლისთავი

## ფიასკოს გადარჩენილი საპრეზიდენტო გამოსვლა

ხათუნა გაბიევი



რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი პარასკევს სიტყვით გამოვიდა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მიღების 15 წლისთავს ეძღვნებოდა. პრეზიდენტს, რომელიც გამოსვლაში ქვეყნის ძირითადი კანონის განვითარებასა და კანონმდებლობის დახვეწაზე საუბრობდა, ერთ-ერთმა დამსწრემ ყველასგან მოულოდნელად სიტყვა შეაწყვეტინა.

რუსული მედიის მიერ "დებოშირად" შერაცხულმა პირმა გამოსვლის ის ნაწილი გააპროტესტა, სადაც მედვედევი პრეზიდენტისა და სახელმწიფო დუმის დეპუტატთა უფლებამოსილების გაზრდის შესახებ ახლახან მიღებულ შესწორებაზე სიამაყით საუბრობდა.

პარტერის მეათე რიგში მჯდომმა მამაკაცმა პრეზიდენტს სიტყვა ხმამაღალი განცხადებით შეაწყვეტინა: **"სირცხვილი კონსტიტუციაში შესწორებებს, ჩვენ თავისუფალი არჩევნები გვჭირდება!"** მართალია, მედვედევმა ამ ფრაზას ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ფედერალური დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ზომების მიღება სცადეს, მედვედევმა სიტყვა შეწყვიტა და განაცხადა: **"დაე, დარჩეს. გულახდილად რომ ითქვას, კონსტიტუცია იმისთვისაა მიღებული, რომ ნებისმიერს შეეძლოს თავისი პოზიციის გამოხატვა."** "იტარ-ტასის" ცნობით, ამ სიტყვებისთვის პრეზიდენტმა მსმენელთა ოვაცია დაიმსახურა, მაგრამ მოგვიანებით "ხულიგანს" დარბაზი მაინც დაატოვებინეს.

**"კონსტიტუცია განგების მიერ მოცემული კანონი კი არა, საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს, მთავარია ძირითადი პრინციპები დარჩეს უცვლელი,"** - აღნიშნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

მედვედევის თქმით, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის მკაფიო გამიჯვნა რჩება, მაგალითად, საკანონმდებლო დაზუსტებას საჭიროებს ის ქონება, რაც ფედერალური და რეგიონული ხელისუფლების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი.

გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფალის განცხადებით, საჭიროა საბიუჯეტო ურთიერთობების შემდგომი განვითარება, ისევე როგორც სახელმწიფო მომსახურების გაწევის თანმიმდევრობის დამატებითი რეგლამენტაცია.

**"მწვავე პრობლემად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის დახვეწა, ხოლო სახელისუფლებო ორგანოების მუშაობაზე საზოგადოებრივ კონტროლს რაც შეეხება, მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის შექმნა,"** - აღნიშნა დმიტრი მედვედევმა.

გამჭვირვალობის დასანერგად პრეზიდენტი საინფორმაციო-კომუნიკაციის ტექნოლოგიების დანერგვის ინიციატივითაც გამოვიდა, რაც მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომს გახდის სახელმწიფო, მუნიციპალურ მომსახურებას.

გარდა ამისა, მედვედევმა სოციალურ სფეროში ახალი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზეც ისაუბრა, რადგან, მისი თქმით, კონსტიტუციაში გაწერილი სახელმწიფო ვალდებულების მიუხედავად, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის კუთხით ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

სახელმწიფოს მეთაურმა ასევე ისაუბრა "სამართლებრივი ნიჰილიზმის" დასაძლევად კონსტიტუციის კოლოსალურ მნიშვნელობაზე.

მან კონსტიტუციის მიღების 15 წლისთავს "განსაკუთრებული, ფუნდამენტური მნიშვნელობის თარიღი" უწოდა.

**"კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის უმაღლეს ღირებულებებს, მის უფლებებსა და თავისუფლებას, აწესებს რუსეთის დემოკრატიული მოწყობის ნორმებს და ავალდებულებს სახელმწიფოს, რეალურად დაიცვას ეს საბაზისო ფასეულობები,"** - განაცხადა მედვედევმა.

მან დამსწრე საზოგადოებას ისიც აცნობა, რომ ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის თანაავტორების ღირსების სიგელებით დაჯილდოების ბრძანებას.

თუმცა, გამოსვლის ბოლოს მედვედევმა ისიც დასძინა, რომ ყველაფერი, რაზეც მან ისაუბრა, მხოლოდ მისი სუბიექტური ხედვაა და სხვა არაფერი.

**"მე არ ვარ დარწმუნებული იმაში, რაც მოგახსენეთ - ეს სადავო საკითხებია,"** - ამ სიტყვებით დაასრულა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა.

### ცნობები: რუსეთის ფედერაციის ახალი კონსტიტუცია

რუსეთის ფედერაციის ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია 1993 წლის 12 დეკემბერს რეფერენდუმის საფუძველზე მიიღეს. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო რუსეთის 58.2 მლნ. მოქალაქემ (რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 54.8 პროცენტი). ძირითადი კანონის ახალ ვერსიას მხარი დაუჭირა 32.6 მლნ. ადამიანმა, ანუ რეფერენდუმში მონაწილეთა 58.4 პროცენტმა. კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1993 წლის 25 დეკემბერს და ჩაანაცვლა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის 1978 წელს მიღებული დოკუმენტი, რომელიც არსებობის მანძილზე 11-ჯერ შესწორდა.

ქვეყნის ახალ ძირითად კანონში სულ რამდენჯერმე შევიდა შესწორება, რომელთაგან უმთავრესი იყო რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სახელების შეცვლა, გაერთიანების საფუძველზე რეგიონების რაოდენობის შემცირება, ხოლო 2008 წლის ნოემბრის ბოლოს პირველი მასშტაბური შესწორება შეიტანეს კანონმდებლებმა, კერძოდ, გაიზარდა სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილების ვადა 4-დან 6 წლამდე, ხოლო სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მანდატის ვადა 4-დან 5 წლამდე, რამაც საზოგადოებაში გაცხოველებული დებატები გამოიწვია.

# "ალ ქაიდას" "ცოცხალი ლეგენდა" დააპატიმრეს

11 დეკემბერს ბელგიაში დაკავებულ 14 პიროვნებას შორის, რომლებიც ტერორისტულ ორგანიზაცია "ალ ქაიდასთან" კავშირში არიან ეჭვმიტანილნი, "ალ ქაიდას" "ცოცხალი ლეგენდა" მალიქა ელ-არუდი აღმოჩნდა. ელ-არუდი ტერორისტული ქსელის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი წევრის, აჰმად აბდელ სატტარის ქვრივია. აჰმად აბდელ სატტარი 2001 წლის სექტემბერში ავღანეთში ჩრდილოეთის ალიანსის ლიდერ აჰმად-შაჰ მასუდზე განხორციელებული თავდასხმის დროს დაიღუპა. ეს ფაქტი 11 სექტემბრის ტერაქტებამდე ზუსტად ორი დღით ადრე მოხდა.

დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, გავლენიანი ავღანელი საველე მეთაურის - აჰმად-შაჰ მასუდის სიკვდილმა მკვეთრად შეცვალა სიტუაცია ავღანეთში, სადაც "ალ ქაიდასთან" დაკავშირებულ მოძრაობა "თალიბანის" პოზიციები შესამჩნევად გაძლიერდა.

ბელგიის სამართალდამცველთა მონაცემებით, ელ-არუდი თვითმკვლელი ტერორისტი არ გახლავთ. ის, უბრალოდ, ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწეოდა და ექსტრემისტული ორგანიზაციებისთვის ახალი წევრების გადაბირებას ახდენდა. პოლიცია ასევე მიიჩნევს, რომ "ცოცხალი ლეგენდა" ავღანეთში გამგზავრებას აპირებდა, რათა იქ კოალიციურ ჯარებთან ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა.

2006 წელს ტელეკომპანია "სი-ენ-ენ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ელ-არუდი უსამა ბინ ლადენისადმი მუსლიმების სიყვარულზე საუბრობდა. **"მუსლიმების უმრავლესობას უსამა უყვარს. ის გახლდათ ადამიანი, რომელიც ჩაგრულებს ეხმარებოდა. ის გახლდათ ადამიანი, რომელიც მსოფლიოს უდიდეს მტერს, ამერიკის შეერთებულ შტატებს აღუდგა წინ. ჩვენ ის ამის გამო გვიყვარს,"** - განაცხადა ელ-არუდმა მაშინ პირდაპირ ეთერში. **"იყო წამებულის ქვრივი - ისლამში დიდების უმაღლეს მწვერვალს ნიშნავს,"** - დაამატა მან.

"ალ ქაიდას" "ცოცხალი ლეგენდა" მაროკოული წარმოშობის ბელგიის მოქალაქეა, რომელიც ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით არაერთხელ წარმდგარა სასამართლოს წინაშე. კერძოდ, ის ფიგურირებდა მასუდზე თავდასხმის საქმეში, თუმცა 2003 წელს ბელგიურმა სასამართლომ მას ყველა ბრალდება მოუხსნა. 2007 წელს შვეიცარიაში სასამართლომ ელ-მარუდი ისლამურ ექსტრემისტული ორგანიზაციის მხარდაჭერაში ცნო დამნაშავედ. სასამართლო გარჩევის საგანი ერთ-ერთ ისლამურ საიტზე ელ-არუდის მიერ გამოქვეყნებული სტატიები იყო, რომლებიც ძალადობისა და რასობრივი დისკრიმინაციისადმი მოწოდებებს შეიცავდა.

სპეცოპერაციის შემდეგ, რომელშიც 242 პოლიციელი მონაწილეობდა, ბელგიელმა სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ დაკავებული 14 პირი ტერაქტს ამზადებდა, თუმცა მასში ელ-არუდის როლი არ დაუკონკრეტებიათ.

### პაკისტანის ერთ-ერთ სოფელზე სარაკეტო დარტყმა განხორციელდა

ამერიკულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა 11 დეკემბერს პაკისტანის ერთ-ერთ სოფელზე, სამხრეთ ვაზირისტანში სარაკეტო დარტყმა განახორციელა. ექვსი ადამიანი დაიღუპა. გარდა ამისა, რაკეტამ სახლები და სასულიერო სემინარია დაანგრია. წინასწარი მონაცემებით, ოპერაციის მიზანი ალ-ქაიდას და თალიბანის ისლამისტი მებრძოლები იყვნენ, რომლებიც თავს ამ მიდამოებს აფარებენ. ამის მიუხედავად, უცნობია, დახოცილები მებრძოლები იყვნენ თუ მშვიდობიანი მოსახლენი.

ცნობისათვის - ავღანეთში დისლოცირებული აშშ-ს სამხედრო ძალები პაკისტანზე უკვე 30-ე სარაკეტო დარტყმას ახორციელებენ. **მედიანიუსი**

### ერაყში ძლიერ აფეთქებას 50 ადამიანი ემსხვერპლა

11 დეკემბერს ერაყის ქალაქ ქირქუქში, რესტორანში აფეთქების ხმა გაისმა. აფეთქების შედეგად, სულ ცოტა, 50 ადამიანი დაიღუპა. 95 ადამიანი დაჭრილია. პოლიციის მონაცემებით, რესტორან "აბდულასთან" დანაღმული მანქანა თვითმკვლელმა-ტერორისტმა ააფეთქა. ქირქუქის პროვინცია ერაყის ჩრდილოეთში სანავთობო მრეწველობის ცენტრია და ტერორისტების სამიზნეც ხშირად ხდება ხოლმე. დეკემბრის დასაწისში პოლიციამ პროვინციის სოფლებში რამდენიმე ადამიანის დამწვარი გვამი აღმოაჩინა, რომელთაც არაერთი ნატყვიარი ჰქონდათ. **მედიანიუსი**

### ავსტრალიაში ბავშვთა პორნოგრაფიის ინტერნეტით გავრცელებისთვის 19 ადამიანი დააკავეს

ავსტრალიის პოლიციამ 19 ადამიანი დააკავა, რომელთაც ბავშვთა პორნოგრაფიის ინტერნეტით გავრცელებაში ედებათ ბრალი. ივარაუდება, რომ ამ ქსელში მსოფლიოს 70 ქვეყნიდან 200 ადამიანი შედის. პირველად მათ კვალს ბრაზილიის პოლიციამ მიაკვლია.

დაპატიმრებები ავსტრალიის შტატებში: ქვინსლენდში, ვიქტორიასა და ახალ სამხრეთ უელსში გამართული რეიდებისას მოხდა. პოლიციამ 15 ათასი ვიდეოჩანაწერისა და 500 ფოტოგამოსახულების კონფისკაცია მოახდინა. დაკავებულთა შორის პოლიციელი და ყოფილი სამეფო ადვოკატიც არიან. დაკავებულები ვიდეოპროდუქციას პირინგული ქსელებით ავრცელებდნენ, რათა პროვაიდერების მიერ დადგენილ ფილტრებს ასცდენოდნენ. **მედიანიუსი**

### ათენში მასობრივი არეულობები გრძელდება

საბერძნეთის დედაქალაქში არეულობები გრძელდება. 15 წლის მოზარდის სიკვდილის მიზეზით ათასობით მოზარდი ქუჩებში გამოვიდა. არეულობები საბერძნეთში უკვე 6 დღეა, მძვინვარებს. დედაქალაქის ქუჩებში დამწვარია ავტომანქანები და გაზეთის ჯიხურები, დაზიანებული და განადგურებულია ასობით მაღაზია და ოფისი. ხელკეტებით, ქვებით და "მოლოტოვის კოქტეილებით" შეიარაღებული დემონსტრანტები მოზარდის მკვლელების დასჯასა და მთავრობის გადადგომას ითხოვენ.

გუშინ საღამოს ძლიერმა წვიმამ ათენში დემონსტრაციები შეაჩერა. ქალაქ სალონიკში დემონსტრანტებმა საბერძნეთში ყველაზე გავრცელებული გაზეთის "მაკედონიის" რედაქცია დაარბიეს. ადგილობრივების თქმით, არეულობები კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება. **მედიანიუსი**

### ტაივანის ექს-პრეზიდენტს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს

ტაივანის ექს-პრეზიდენტს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. 57 წლის ჩენ შუიბიანას ტაივანის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გაასამართლებენ. ცნობილია, რომ პროკურატურა სასამართლოში მისთვის სასჯელის მაქსიმალური ზომის შეფარდებას მოითხოვს. ჩენ შუიბიანას, მისი მეუღლესა და კიდევ 12 ადამიანს ბრალი ედებათ კორუფციაში, ფულის გათეთრებაში, სახელმწიფო სახსრების გაფლანგვასა და დოკუმენტების გაყალბებაში.

ტაივანის პროკურატურაში აცხადებენ, რომ ექს-პრეზიდენტი მკაცრად უნდა დაისაჯოს, რადგან მან დაარღვია დადებული ფიცი, ამასთან ჩადენილი დანაშაული არ აღიარა. რაც შეეხება მის ცოლს, პროკურატურის ინფორმაციით, ყოფილი პირველი ლედი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით პოლიტიკაში აქტიურად ერეოდა და ხელი შეუწყო მმართველობის სისტემის რღვევას. ექს-პრეზიდენტი 12 ნოემბერს დააკავეს. იგი კატეგორიულად უარყოფს წარდგენილ ბრალდებებს და აცხადებს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება მას ანტიჩინური პოლიტიკის გამო დევნის.

პრეზიდენტის ოჯახის ირგვლივ პირველი კორუფციული სკანდალი 2006 წელს აგორდა, როდესაც მისი სიძე ფინანსური დარღვევებისთვის დააპატიმრეს.

ჩენ შუიბიანა ტაივანს 8 წლის განმავლობაში მართავდა, საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ კი, 2008 წლის მაისში იგი ტაივანის ახალ ხელისუფლებას ჩინეთთან ურთიერთობის გამო მკაცრად აკრიტიკებდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნიკარაგუაში რუსული გემები პარლამენტის თანხმობის გარეშე შევლენ

ნიკარაგუაში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები პარლამენტის თანხმობის გარეშე შევლენ. "გაზეტა.რუ"-ს ინფორმაციით, ამის შესახებ ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ განაცხადა.

"მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას, უახლოეს რამდენიმე საათში რუსული სამხედრო გემები ნიკარაგუის ტერიტორიულ წყლებში შემოვლენ. ჩვენ მათ დასახვედრად ვემზადებით," - განაცხადა პრეზიდენტმა სამხედრო სასწავლებლის სტუდენტებთან შეხვედრისას.

ორტეგას თქმით, პარლამენტი უარს აცხადებს, ჩაატაროს სხდომა და განიხილოს რუსული გემების ქვეყანაში შესვლის საკითხი და ამ ქმედებით არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას.

ნიკარაგუას კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ კონგრესს შეუძლია, რომ სხვა ქვეყნის სამხედრო კონტინგენტს ქვეყანაში შესვლის თანხმობა მისცეს. **ინტერპრესნიუსი**

## სერგეი ლავროვი, შესაძლოა, კონდოლიზა რაისს შეხვდეს

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვისა და აშშ-ს სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის შეხვედრა, შესაძლოა, 14-16 დეკებერს ნიუ-იორკში ლავროვის ვიზიტისას შედგეს.

ამის შესახებ სააგენტო "ინტერფაქსს" რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ლავროვი ნიუ-იორკში ახლო აღმოსავლეთის "კვარტეტის" მინისტრთა შეხვედრაზე დასაწრებად მიემგზავრება.

გარდა ამისა, 16 დეკემბერს სომალის საკითხის შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაც გაიმართება.

რუსული საინფორმაციო საშუალებები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ლავროვი-რაისის შეხვედრა, შესაძლოა, სწორედ რომელიმე ამ ღონისძიების პარალელურად შედეგს. **ინტერპრესნიუსი**

## მაჰმუდ აჰმადინეჯადი: ისრაელი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის

ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი აცხადებს, რომ ისრაელის სახელმწიფო უკანასკნელ დღეებს ითვლის. "სიონისტებმა მათი არსებობის აზრი და ფილოსოფია დაკარგეს, მათ თავად იციან, რომ უკვე მიაღწიეს თავისი ცხოვრებისა და გზის ბოლოს", - აცხადებს აჰმადინეჯადი ჟურნალისტებთან საუბრისას. მისი თქმით, ღაზას სექტორში მომხდარი ბოლო კატასტროფა, სიონისტების არაადამიანური დანაშაული და არაადეკვატური საქციელი "მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ისინი ამ ფაქტს აცნობიერებენ და ამით გაღიზიანებულნი არიან."

ირანის პრეზიდენტი ასევე აცხადებს, რომ "ახლო აღმოსავლეთში უკვე ეჭვი ეპარებათ, ღირს თუ არა საერთოდ თელავივის მხარდაჭერა."

"პალესტინის მოსახლეობაზე სიონისტური რეჟიმის ზეწოლა კი მათი შერყეული რეპუტაციის გაუმჯობესების მცდელობაა და სხვა არაფერი," - აცხადებს აჰმადინეჯადი.

ირანის პრეზიდენტმა გუშინ მონაწილეობა მიიღო მასობრივ დემონსტრაციაში, რომელიც თეირანში პალესტინის მცხოვრებთა მიერ "საოკუპაციო სიონისტური რეჟიმისთვის (ისრაელისთვის) წინააღმდეგობის" გაწევის მხარდაჭერისთვის გაიმართა.

გუშინვე მსგავსი დემონსტრაციები ლოზუნგებით "სიკვდილი ისრაელსა და აშშ-ს" ირანის ყველა მსხვილ ქალაქში გაიმართა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთში რეცესია დაიწყო

"რუსეთში რეცესია უკვე დაიწყო," - განაცხადა რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ანდრეი კლეპაჩმა. მისი თქმით, მიმდინარე წლის შედეგებით, მთლანი შიდა პროდუქტის ზრდა მოსალოდნელ 6,8 პროცენტზე ნაკლები იქნება. უკანასკნელი ორი კვარტლის განმავლობაში ეკონომიკის ვარდნა ფიქსირდება და ასეთი გრლძელვადიან პერიოდს ტექნიკურ რეცესიას უწოდებენ.

ანდრეი კლეპაჩმა უარი განაცხადა, ეთქვა, წლის შედეგებით მთლიანი შიდა პროდუქტი ზუსტად რამდენით გაიზრდება, მაგრამ აღნიშნა, რომ სამრეწველო წარმოება 1,9 პროცენტით მოიმატებს, - იუწყება "ინტერფაქსი". ჩინოვნიკმა დაამატა, რომ ქვეყანაში რეცესია მხოლოდ ორ კვარტალს არ გაგრძლდება, ის გაცილებით დიდხანს გასტანს.

ცნობისთვის - ადრე რეცესიის შესახებ ევროპის ქვეყნებმაც განაცხადეს. რეცესია გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, შვედეთსა და სხვა ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამოცხადდა. ვარაუდობენ, ევროპის ქვეყნების დიდი ნაწილი რეცესიაში 2009 წელს შევლენ.

აშშ-ში კი 2008 წლის დეკემბერში გამოაცხადეს, რომ ქვეყანა რეცესიაში ოფიციალურად ერთი წლით ადრე, 2007 წელს შევიდა. მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკურ ქვეყნებში რეცესია გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგია. კრიზისის შედეგად ბანკებმა ასობით მილიარდი დოლარი იზარალეს, საკრედიტო ბაზარი, ფაქტობრივად, გაიყინა, საფონდო ინდექსები მკვეთრად შემცირდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ევროკავშირის სამიტზე გლობალურ დათბობასთან ბრძოლის გეგმაზე შეთანხმდნენ



AFP ' 2008

*სარკოზი: "პლანეტის არც ერთ სხვა კონტინენტს კლიმატის დაცვის ამგვარი ამბიციური გეგმა არ გააჩნია."*

ბრიუსელში 11-12 დეკემბერს გამართულ ევროკავშირის სამიტზე ევროპელმა ლიდერებმა მთავარ საკითხზე - კლიმატის გლობალურ დათბობასთან ბრძოლის გეგმაზე შეთანხმებას მიაღწიეს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კლიმატის დაცვის ევროპული პროექტის ძირითადი მიზნები, რომელიც "20-20-20"-ის სახელწოდებით არის ცნობილი, კრიზისის მიუხედავად, ძალაში რჩება. აღნიშნული გეგმა 2020 წლისთვის სასათბურე გაზების 1999 წლის დონესთან შედარებით 20 პროცენტით შემცირების, ევროკავშირის ენერგომოხმარებაში ენერგიის აღდგენადი წყაროების წილის 20 პროცენტამდე გაზრდისა და ევროპული ეკონომიკის ენერგოეფექტურობის 20 პროცენტით გაზრდის ვალდებულებებს ითვალისწინებს.

ევროკავშირის თავმჯომარე ქვეყნის საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის თქმით, კრიზისი კლიმატის შენარჩუნებისთვის ბრძოლაზე უარის თქმის საფუძველი არ არის. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირის ლიდერებმა "თავიანთი ვალდებულებები მთლიანად დაადასტურეს."

ამ პროექტს ეწინააღმდეგებოდნენ ევროკავშირის აღმოსავლელი წევრები: პოლონეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი. ბრიუსელის სამიტამდე ვარაუდობდნენ, რომ 2013 წლიდან ევროკავშირის წევრები დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფაზე კვოტების შეძენას ღია აუქციონებზე დაიწყებდნენ. გაერთიანების აღმოსავლური ქვეყნებისთვის, რომელთა ელექტროსადგურების 93 პროცენტი ქვანახშირზე მუშაობს, ეს მაღალი დანახარჯებისა და, სავარაუდოდ, ენერგეტიკული დარგის კრახის ტოლფასი იქნებოდა. ამის გამო აღნიშნული ქვეყნები მთლიანი პაკეტის დაბლოკვით იმუქრებოდნენ.

სარკოზის თქმით, ევროკავშირის ლიდერები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის "გარკვეული შეღავათების" დაწესებაზე შეთანხმდნენ. **"მაგალითად, პოლონეთი 38- მილიონიანი ქვეყანაა, რომლის ელექტროენერგიის ძირითადი ნაწილი ქვანახშირით გამომუშავდება. თუ მას და სხვა ქვეყნებს შეღავათებს არ მივცემთ, ეს ელექტროენერგიის 200-300 პროცენტით გაძვირებას გამოიწვევს, რაც სოციალური თვალსაზრისით, მიუღებელია,"** - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

ამის გამო პოლონეთი და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, რომლებიც 2020 წლისთვის კლიმატის დაცვის გეგმით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულებას დაეთანხმნენ, ნახშირმჟავა გაზების გამოყოფაზე დროებით უფასო კვოტებს მიიღებენ.

**"პლანეტის არც ერთ სხვა კონტინენტს კლიმატის დაცვის ამგვარი ამბიციური გეგმა არ გააჩნია. ახლა, როცა ჩვენ ეს გავაკეთეთ, ყველანაირი საფუძველი გვაქვს, მოვუწოდოთ აშშ-ს ახალგაზრდა და დინამიურ პრეზიდენტს, რომ ჩვენს მაგალითს მიბაძოს,"** - განაცხადა სარკოზიმ.

ცნობისთვის - ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ კლიმატის სფეროში ევროკავშირის ინიციატივას მხარი არ დაუჭირა, რადგან შიშობდა, რომ აშშ-სთვის ამდენად მკაცრი ნორმების დაწესება ამერიკული ეკონომიკისთვის მეტისმეტად მძიმე ტვირთი აღმოჩნდებოდა.

ახლა, სარკოზის თქმით, ისღა დარჩა, რომ ეს ინიციატივა ევროპარლამენტმა მოიწონოს. **"დარწმუნებული ვარ, რომ ეს რეალურია,"** - თავის მხრივ განაცხადა ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟოზე მანუელ ბაროზუმ.

# შვეიცარია შენგენის ზონას შეუერთდა

შვეიცარია შენგენის ზონის 25-ე წევრი გახდა. ტრადიციულად ნეიტრალური სახელმწიფო რიგით მესამეა ნორვეგიისა და ისლანდიის შემდეგ, რომელიც შენგენის სივრცეს შეუერთდა და ევროკავშირის წევრ ქვეყანას არ წარმოადგენს.

ევროპის ნეიტრალური ქვეყანა შვეიცარია პარასკევს ოფიციალურად შეუერთდა შენგენის ზონას. მართალია, სასაზღვრო პუნქტები მეზობელ ქვეყნებთან უკვე დაიხურა, მაგრამ ფუნქციონირებას განაგრძობს საბაჟო პუნქტები, სადაც შერჩევითი შემოწმება კვლავინდებურად გაგრძელდება. რაც შეეხება იმ მგზავრებს, რომლებიც შევიცარიაში ჩასვლას საჰაერო ტრანსპორტით ამჯობინებენ, ნეიტრალურ ქვეყანაში შენგენის ვიზით ვიზიტს მომავალი წლის 29 მარტიდან, "ზაფხულის დროზე" გადასვლის შემდეგ შეძლებენ.



*შვეიცარიაში ფუნქციონირებას განაგრძობს საბაჟო პუნქტები, სადაც შერჩევითი შემოწმება კვლავინდებურად გაგრძელდება.*

შვეიცარიის სასაზღვრო-საბაჟო სამსახურის შტაბის ხელმძღვანელ მიქაელა რიკენბახერის განცხადებით, შენგენის ზონაში ოფიციალურად შესვლას ბევრი არაფერი შეუცვლია, რადგან აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები ისედაც დიდი ხანია, "შენგენის რეჟიმში" მუშაობენ.

რიკენბახერის თქმით, მესაზღვრეები დარჩებიან საბაჟოგამშვებ პუნქტებზე და მებაჟეებს დახმარებას გაუწევენ "პოლიციური ფუნქციების განხორციელებით".

**"საბაჟო კონტროლი არავის გაუუქმებია და ჩვენ ძველებურად განვაგრძობთ ბრძოლას საწარმოო და სავაჭრო საქონლის არალეგალურ ტრანსპორტირების, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდის წინააღმდეგ. მოქალაქეების თავისუფლად გადაადგილება, რასაც შენგენის შეთანხმება ითვალისწინებს, არ ნიშნავს უკიდეგანო თავისუფლებას. სწორედ ამიტომ, საბაჟო შემოწმებები ისევ ჩატარდება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მებაჟეებს ეჭვის საფუძველი გაუჩნდებათ, დასაშვებია დოკუმენტების შემოწმებაც. ასე რომ, გირჩევთ, ვისაც შვეიცარის მონახულება გსურთ, "სახლში არ დაგრჩეთ" პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,"** - აღნიშნა შვეიცარიის სასაზღვრო-საბაჟო სამსახურის შტაბის ხელმძღვანელმა.

მოსკოვში შვეიცარიის საელჩო შენგენის ვიზების გაცემას ორშაბათიდან, 15 დეკემბრიდან შეუდგება. საელჩოში ადასტურებენ ინფორმაციას იმის შესახებაც, რომ 12 დეკემბრიდან შვეიცარიის სახმელეთო საზღვრების გადაკვეთისას შენგენის წევრი ქვეყნებინდან საჭირო არ გახდება დამატებითი საპასპორტო კონტროლის გავლა, მაგრამ საერთაშორისო აეროპორტებში საპასპორტო კონტროლი 2009 წლის 29 მარტამდე შენარჩუნდება.

ვიზის გაფორმებისთვის აუცილებელია სავიზო განყოფილებაში დოკუმენტების სრული პაკეტის წარდგენა, სავიზო მოსაკრებლის ოდენობა 60 ევროს შეადგენს, ხოლო თითოეული განცხადების დამუშავების ვადა, არანაკლებ სამი სამუშაო დღეა.

მათაც, ვინც შენგენის ვიზა ხელშეკრულებაში შვეიცარიის ჩართვამდე მიიღო, შვეიცარიის ტერიტორიაზე შესვლის სურვილის შემთხვევაში არავითარი დაბრკოლება არ შეხვდებათ. ამასთან, შვეიცარიის ვიზას, რომელიც მიმდინარე წლის 12 დეკემბრამდეა გაცემული, ავტომატურად არ ენიჭება შენგენის ვიზის თვისება.

რაც შეეხებათ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის რუსეთისას, რომლებიც შვეიცარიაში "ცხოვრების უფლების" საბუთითა და მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტით ცხოვრობენ, ასევე ენიჭებათ შენგენის სივრცეში თავისუფლად გადაადგილების უფლება აღნიშნული ორი დოკუმენტის საფუძველზე.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შენგენის ზონაში არ შედიან დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, რუმინეთი, ბულგარეთი და კვიპროსი. შენგენის ხელშეკრულების ყველა მონაწილე სახელმწიფოს თავისუფლად მიუწვდება ხელი პოლიციის საერთო ბაზის იმ მონაცემებზე, რაც ეხება სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებსა და გატაცებული ავტომობილების სახელმწიფო ნომრებს.

შენგენის სივრცის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას 1985 წელს ლუქსემბურგის პატარა სოფელ შენგენში მოეწერა ხელი.

# რევიუ

## ქართული ხმა ეკრანიდან და პოლონური ბუნტი

### თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მორიგი საკონკურსო დღე



*კადრი ფილმიდან "ვერსალი"*



*კადრი ფილმიდან "შემოდგომა", იუსუფი და ეკა (მეგი კობალაძე)*

ია ვეკუა
სოფო კილასონია

თბილისის IX საერთაშორისო კინოფესტივალი ნელ-ნელა გადამწყვეტ ფაზაში შედის. მაყურებელმა და ჟიურიმ რვა საკონკურსო ფილმი ნახა. ამიტომ უკვე შეიძლება დასკვნების გამოტანის დაწყება. ვიდრე ჟიურის წევრები თავიანთ ბლოკნოტებში ჩანიშნულ იეროგლიფებს შიფრავენ და ფილმებს საკუთარი შეფასების სისტემის მიხედვით აძლევენ ქულებს, თავის ფავორიტს მაყურებელიც ირჩევს. წლევანდელი ფესტივალის ერთ-ერთი საინტერესო მხარე სწორედ მაყურებელია, უფრო კი მისი რაოდენობა.

როდესაც გუშინდელი საკონკურსო ჩვენების დაწყებამდე ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, გაგა ჩხეიძემ თითქმის ცარიელ დარბაზს გადახედა, ასეთი დასწრების ასახსნელი მიზეზის მოსაფიქრებლად ზუსტად წამნახევარი დასჭირდა: "ალბათ ომის გამო ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ დათრგუნულია და კინოსთვის ვერ იცლიან". საინტერესოა, ეს ომი რომ არა, რას მოიყვანდა მიზეზად ბატონი ჩხეიძე და რით გაიმართლებდა თავს ჟიურის უცხოელი წევრების მიმართ. თუმცა მან იქვე დაამატა, რომ ფესტივალს არ აქვს სათანადო რეკლამა (სატელევიზიო და ასე შემდეგ) და დაგვპირდა, რომ მომავალში ამას აუცილებლად გამოასწორებენ. თანაც ფილმების ჩვენება სამუშაო საათებს ემთხვევა და ბევრი ამის გამო ვერ ახერხებს ფესტივლზე დასწრებას. თუმცა არის მეორე მხარეც: ფილმების სანახავად ის ადამიანებიც კი არ იწუხებენ თავს, ვის პირდაპირ მოვალეობაშიც შედის ასეთ ღიონისძიებას ყურადღება მიაქციოს. თავად განსაჯეთ - "ამირანის" დარბაზში საშუალოდ 30-40 მაყურებელი ზის. აქედან 5 ჟიურის წევრია, ათამდე ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, დანარჩენები კი სტუდენტები, რომლებიც ალბათ მხოლოდ საკუთარი გულუბრყვილობის გამო უფრო ესწრებიან ჩვენებას, ვიდრე ლექტორების დავალებით. დარბაზში ლაშა ბაქრაძის, თეო ხატიაშვილის, თორნიკე ბზიავასა და ორიოდე ნაკლებად ცნობილი "კინოშნიკის" გარდა ვერ ნახავთ ერთ ისეთ მაყურებელსაც, ვისი საქმიანობაც უშუალოდაა დაკავშირებული კინოსთან. არ დადიან არც რეჟისორები, არც მსახიობები და არც ჟურნალისტები იწუხებენ დიდად თავს. ამ საკითხს ამდენი ადგილი ერთი მიზეზით დავუთმეთ - ეს ნამდვილად პრობლემაა, პირველ რიგში კი იმ ადამიანების პრობლემა, ვინც საკუთარ თავს ქართული კინოს მომავალთან აიგივებს, სისულელეებით სავსე ფილმების გადასაღებად მილიონებს ითხოვენ და ხარჯავენ კიდეც. აქვე კი არ დაგავიწყდეთ, საფესტივალო ფილმზე დასასწრები ბილეთის ფასი მხოლოდ 3 ლარია.

ფესტივალის დასრულებამდე კიდევ ერთი დღე დარჩა, მაგრამ მაყურებელმა გუშინ უკვე იხილა ერთი ისეთი კინოსურათი, რომელზეც იქვე თქვა, რომ უკვე ნანახთა შორის ის საუკეთესო იყო და რომ დანარჩენ საკონკურსო ფილმებს მისთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდებათ. გუშინდელი დღე თბილისის კინოფესტივალისთვის ფრანგული კინოპროდუქციით და მართლაც კარგი სურათით "ვერსალი" დაიწყო.

გიომ დეპარდიეს ერთ-ერთი ბოლო კინოროლი და რეჟისორ პიერ შოელერის პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი წელს კანის ფესტივალზე აჩვენეს სექციაში "განსაკუთრებული ხედვა". სანამ "ვერსალს" გადაიღებდა შოელერი რეჟისორად ტელევიზიაში მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ "ვერსალი" მისი პირველი მხატვრული ფილმია, მას არაპროფესიონალიზმსა და თუნდაც პოროფესიულ ნაივურობას ნამდვილად ვერ დავწამებთ. "ვერსალი" განეკუთვნება იმ ნამუშევართა რიგს, რომელსაც 2 საათი ისე უყურებ, რომ ეკრანს ვერც თვალს აცილებ და ვერც აზროვნებას. მიყვები ბოლომდე და განიცდი მათთან ერთად. ისინი, შოელერის გმირები (რეჟისორს ეკუთვნის სცენარი) კი მართლაც რომ ბევრს განიცდიან.

დრო - თანამედროვე, ადგილი - პარიზთან, ვერსალთან ახლოს, პერსონაჟები - ისინი, რომლებიც საფრანგეთში, არა, ყველგან მრავლად არიან, ანუ უბრალო ადმაიანები, რომელთათვისაც მიუღებელია ცხოვრება, როგორც - წესი, კანონი, რეჟიმი. მათთვის ისეთივე აუტანელია უმუშევრობა, როგორც მცირე პენსია დახმარებისთვის. ამიტომაც ისინი ერთად, ტყეში აღმოჩნდებიან, სადაც თითქოს არაფერია, მხოლოდ ისინი - 23 წლის დედა (ჯუდიტ შემლა), მისი 5 წლის ბიჭუნა (მაქს ბესეტი) და უცხო მამაკაცი. ამ უცხოსთან ქალი ბავშვს ტოვებს, წავა და სამსახურს მოძებნის, იქვე ახლოს, ვერსალთან. მამკაცი პატარას თავიდან ვერ მოიშორებს, შეიყვარებს და ისინიც წავლენ, სადღაც, ვერსალთან ახლოს.

სანამ დედა ტყეში დაბრუნდება, მანამდე ბიჭუნა და მამობილი ერთმანეთისადმი ახლადაღძრულ სიყვარულს ურთულეს მომენტებში გამოსცდიან. მხოლოდ ამ ბავშვის გამო ბომჟი, დეპარდიეს გმირი, ჯერ ქალაქს, შემდეგ კი ოჯახს დაუბრუნდება. იმ ოჯახს, რომელიც წლების წინ მარტომ დატოვა, ახლა კი შვილთან ერთად უბრუნდება.

პიერ შოელერის ფილმში ამ ისტორიის სწორედ ეს, ზემოთ ნაამბობი ნაწილია წარმოდგენილი გამადიდებელი შუშით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბავს ფილმში აქვს დასასრული, ფილმი თითქოს და აქ სრულდება. მხოლოდ ბოლო 15 წუთის განმავლობაში უკვე გაზრდილ ბავშვს, 7 წლის შემდეგ დედა პოულობს. დედა, რომელიც თურმე ეძებდა. პატარა ენცოც პირველად იგრძნობს შვებას.

"ვერსალი" - თითქოს და ათასჯერ გაგონილ ამბავს გვიყვება. ამბავს, რომლის მსგავსიც სხვადასხვა ფილმებში გვინახავს, მაგრამ საქმე იმ ფორმასა და დამაჯერებლობას ეხება, რომლითაც მაყურებელს სინამდვილის სურნელებას აგრძნობინებს რეჟისორი. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, თუ რა არაჩვეულებრივ პარტნიორობას უწევს გიომ დეპარდიეს პატარა მაქს ბასეტი. "ვერსალი" უდაოდ იმსახურებს თბილისის კინოფესტივალის რომელიმე პრემიას მაინც, თუ მთავარს არა. რადიკალური შეფასებებისგან ალბათ ამ ეტაპზე მაინც უნდა შევიკავოთ თავი. წინ ხომ კიდევ რამდენიმე საკონკურსო ფილმის ჩვენება გველის.

ოზჯან ალპერის "შემოდგომა" სწორედ ის ფილმია, რომელსაც სწორედ ასეთი სათაური უნდა ჰქონოდა - მთავარი გმირი შემოდგომაში ცხოვრობს, ნელ-ნელა ეცლება გამხმარი ფოთლები და სულ მალე ზამთარში გადასაბიჯებლად უნდა შეემზადოს. ციხეში გატარებული 10 წლის შემდეგ იგი შინ ბრუნდება, მაღალმთიან სოფელში, სადაც თავისუფლების ნაცვლად მეორე ციხე ელის. ყოველ დილით სახლის ეზოში გამოსული იუსუფი მთების გარემოცვაში ექცევა - დაახლოებით ისე, როგორც ეს ციხის საკნის კედლებში ჯდომისას ხდებოდა.

"შემოდგომა" ფესტივალის ერთადერთი ფილმია, სადაც ქართული საუბარი ისმის, თუმცა წინასწარ ნუ გიხარიათ - ქართულად თურქეთში მომუშავე მეძავები საუბრობენ და თურქულ სასადილოში მომღერალი ქალბტონები მღერიან. სწორედ ამ სასადილოში გაიცნობენ ერთმანეთს იუსუფი და ეკა (მეგი კობალაძე), რომლებიც "საქმიანი გარიგების" ნაცვლად ერთმანეთს ჩუმად და თბილად შეიყვარებენ. ეკას ისტორია ისეთივე ბანალურია, როგორიც იუსუფისა და როგორიც არა ერთხელ ამოგვიკითხავს ყვითელი ჟურნალების ფურცლებიდან - შვილი ქმარმა მიატოვა, დედას დაუტოვა და თურქეთში სამუშაოდ ჩამოვიდა. საბოლოოდ კი მეძავად იქცა და ქართველი ქალის წმინდა სახელის შერცხვენა დაიწყო. ნუ, ამას თავი დავანებოთ - საკუთარ ცხოვრებას ყველა თავად ირჩევს, აქ მთავარი ისაა, აირჩევს თუ არა ამ ფილმს ფესტივალის ჟიური, რომლის მთელი ღირსება მაღალმთიანი თურქეთის (ოდესღაც კი ჩვენი) ლამაზი ხედების დემონსტრირება და ეგზოტიკური ფოლკლორია, სიუჟეტურად კი როგორც მიხვდით, ძალიან უბრალო და გაცვეთილია.

სრულიად სხვა სამყაროში გადავყავართ კიდევ ერთ საკონკურსო ფილმს, "ოთხშაბათი, ხუთშაბათის დილა", რომელიც ალბათ უფრო ახალგაზრდული კინოფესტივალებისთვის იქნებოდა უპრიანი და არა ამ შემთხვევაში. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფესტივალო ჩვენებებს ძირითადად სტუდენტები ესწრებიან, ამიტომ ჩავთვალოთ, რომ გჟეგოჟ პაცეკის ფილმი მათდამი მიძღვნილი საჩუქარი უფრო იყო.

"ოთხშაბათი, ხუთშაბათი დილა" სულ რაღაც 70 წუთს გრძელდება და ერთი პატარა ფოიერვერკივითაა - უცებ ფეთქდება, იშლება და მერე უკვალოდ ქრება. ახალგაზრდა ბიჭისა და გოგონას შეხვედრა და წამიერი სიყვარული მხოლოდ დღენახევრის განმავლობაში გრძელდება, ეს დრო კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ აქამდე უცნობმა ადამიანებმა ერთმანეთის ბედის განკარგვა დაიწყონ. გჟეგოჟ პაცეკი ფილმს 1 აგვისტოს დილიდან იწყებს. ეს სწორედ ის დღეა, როდესაც ათწლეულების წინ ვარშაველებმა ფაშისტების წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყეს. აჯანყებულები არიან ფილმის გმირებიც, თუმცა მათი ბუნტი მათსავე სხეულებშია მიმდინარეობს და მხოლოდ იშვიათად ახერხებენ ამის ღიად გამოხატვას. ფილმის ბოლოს კი მთავრ გმირს საკუთარ თავთან უწევს შეჯახება, როდესაც საყვარელი ადამიანი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას სთხოვს.

დღეს ფესტივალის ბოლო საკონკურსო დღეა. მაყურებელი ნახავს ფილმებს სტეფან არსენიევიჩის "სიყვარული და სხვა დანაშაულებანი" და ბაკურ ბაკურაძის "შულტესს". ფესტივალის დახურვისა და გამარჯვებულთა დაჯილდოვების ცერემონიალი 14 დეკემბერს გაიმართება.

### ბასა ჭანიკაშვილის შაბათობა




*ძალიან მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა. ამიტომ საგაზეთო სვეტის იდეა ისეთი ფორმით მოვიფიქრე, რომ მეც და თქვენც, ძვირფასო მკითხველო, მხოლოდ ჩემს მაღალფარდოვან იდეებს არ კითხულობდეთ. მინდა, რიგითი მოქალაქეების ნააზრევიც გაიცნოთ. მერე რა, რომ ყველა ინტერვიუ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და რეალურად არც ერთთან არ მისაუბრია? მერე რა, რომ ყველა პერსონაჟი მოგონილია და რაიმე დამთხვევა, მხოლოდ შემთხვევითობაა და მეტი არაფერი? მთავარია, რომ ჩვენ ამ ხალხს ვიცნობთ. ისინი ხშირად შეგვხვედრია. მათი აზრი, ადამიანური ისტორიები იშვიათად თუ ხვდება მასმედიის ყურადღების ქვეშ. ამიტომ, ამ ხარვეზის გამოსწორება ასეთი ფორმით ვცადე. ყოველ კვირას შევხვდები ერთ ჩემს მიერ მოგონილ ადამიანს, გავესაუბრები და შემდეგ თქვენ შაბათობით მოგაწვდით.*

### ინტერვიუ პირველი

## გურამ საწანდრიშვილი

### საახალწლო შაშხანების გამყიდველი

**ბ.ჯ. - ჩვენი დღევანდელი სტუმარია გურამ საწანდრიშვილი. იგი ბიზნესმენია და ფრიად სასიკეთო საქმით არის დაკავებული. ბატონი გურამი სავაჭრო ცენტრ "კელაპტარში" მოვიხელთეთ და რამდენიმე კითხვა დავუსვით. "კელაპტარი" ლილოს ბაზრობასთან არსებული ბიზნეს-ცენტრია, რომელიც გასულ კვირას სრულად დაიწვა. შესაბამისად, დაიწვა მისი მაღაზიაც.**

**ბ.ჯ. -** ბატონო გურამ, გააცანით თქვენი თავი ჩვენს მკითხველს...

**გ.ს. -** გურამი ვარ საწანდრიშვილი. ეს ცეცხლი მე არ დამინთია, ჩემი საქონელი აქ არაფერ შუაშ...

**ბ.ჯ. -** თუ შეგიძლიათ, უფრო ვრცლად მოგვიყვეთ თქვენი საქმიანობის შესახებ?

**გ.ს. -** რა ვიცი *(აქეთ-იქით იყურება)*, რა ვიცი, მე გურამ საწანდრიშვილი ვარ. უკვე, თითქმის ოცი წელია ამ შაშხანებს ვყიდი. პირველად 1989-ში მე და ჩემმა პარტნიორმა, თენგულა თოფჩიშვილმა აზერბაიჯანში გადავედი და ვიყიდეთ. შემოვიტანეთ და ლილოს ბაზრობა ჯერ კიდევ არც ერქვა ამას, ჯიხური ავიღეთ და დავიწყეთ გაყიდვა. მახსოვს, პირველი ახალი წელი, სულ რამდენიმე შაშხანა ისროდა ქალაქში და ეგ იყო. მერე, ნელ-ნელა, ნელ-ნელა და ეხლა უკვე საქმე ავაწყეთ. ყველა ამ მთავრობას ლანძღავს და თუ კაცს მოუნდება, საქმესაც გააკეთებს და ხალხსაც დაასაქმებს. ეს ხანძარი რო არა, კარგად იქნებოდა ყველაფერი. ვინც ეს ცეცხ...

**ბ.ჯ. -** იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა...

**გ.ს. -** ჰო, იმის მერე ბევრმა რამე მოხდა. ჩვენც ნელ-ნელა ცოტა მეგობრები დაგვეხმარენ, ცოტა ჩვენ თვითონ გავიჭირვეთ და აი, ახლა უკვე ამხელა სავაჭრო ცენტრი იყო და დაინახეთ თქვენ თვითონაც, ამხელა მაღაზია იყო, ამდენი ხალხია დასაქმებული, გადასახადებს ვიხდით და ქვეყნის მშენებლობაში ვიღებთ მონაწილეობას და დაიწვა ეს ლილოს ბაზრობა და მთელი საქონელ...

**ბ.ჯ. -** რა შეგიძლიათ მოგვიყვეთ შაშხანებზე? რა სხვაობაა მათში და რას ურჩევდით ჩვენი გაზეთის მკითხველს, ახალ წელს რა იყიდოს?

**გ.ს. -** ეხლა რაშია საქმე... ყველას თავისი სპეციფიკა აქვს. აი, ეს მაგალითად, ამას "კატუშა" ქვია, ომის მერე სახელი შევუცვალეთ და "ისკანდერა" დავარქვით. მაგრამ აწი უკვე რა აზრი აქვს, დაიწვა ეს ბაზრობ...

**ბ.ჯ. -** რა სხვაობაა "ისკანდერას" და აი, თუნდაც ამ პატარა შაშხანას შორის?

**გ.ს. -** ჰო, ეს ორი შაშხანა დამრჩა, დანარჩენი სულ დაიწვა. ახლა რაშია საქმე... ეს, აქ რო გამოკრავ, ოც მაშხალს ისვრის. დადგები ასე, აივანზე და გამოკრავ და ისვრის ხუთი წუთის განმავლობაში. ეს პატარა, თქვენ რო ხელში გიჭირავთ, ამას "სანიორა" ქვია. პატარა ხმა აქვს და შორს არ ისვრის. ეგ ბავშვებისთვისაა კარგი. ისვრის და უხარია. მაგრამ, ცეცხლი რო მოეკიდა ლილოს ბაზრ...

**ბ.ჯ. -** უსაფრთხოა, ბატონო გურამ?

**გ.ს. -** რაი, ცეცხლი?

**ბ.ჯ. -** აი, ეს?

**გ.ს. -** ეს ყველაზე უსაფრთხოა, აი, ასე აყენებ წინა ორ ხელზე, სწორზე, თავი ზემოთ რო ქონდეს, წინიდან არ შეიძლება დადგომა, თორე წაგაცლის, და...

**ბ.ჯ. -** აბა უსაფრთხოაო?

**გ.ს. -** კი, წინიდან თუ არ დაუდექი და უკნიდან მოუარე მაშინ კი და მოუვლი უკნიდან და წაუკიდებ და ისვრის. მაგარი ხმაა აქ ძაან და შორსაც ისვრის, თან რაც მთავარია ლამაზია. ადრე, რა იყო იცი, უხარისხო პროდუქცია არ გვაქვს. მხოლოდ ჩინური, ნაღდი, ის არ შემოგვაქ! რათ მინდა ისეთი ახალი წელი, ვინმეს თუ რამე დაუშავა. მე ისეთი კაცი არა ვარ, სხვის უბედურებაზე რომ ავაწყო ჩემი. მინდა, რომ ახალ წელს ყველას უხაროდეს, კმაყოფილი იყოს და კაი დღესასწაული იყოს. ხალხს ისედაც უჭირს და ერთი დღე შეიძლება, რომ მოუწყოს თავის თავს პრაზნიკი. არა, იმის თქმა კი არ მინდა, უკეთესობა როგორ არ შეიმჩნევა, რა შედარებაა, ისეთი ამბავი სადაა, ადრე რო იყო, მარა ცოტაც უნდა გავიჭირვოთ ქართველებმა და დალაგდება ყველაფერი. მაგრამ თუ ძალით წაუკიდებ შაშხანა კი არა ადამიან...

**ბ.ჯ. -** და ბოლოს, ტრადიციულად, ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის, იქნებ რაიმე კურიოზი გაიხსენოთ?

**გ.ს. -** რა ვიცი *(იცინის)*, იმდენია გასახსენებელი. მთელი მაღაზია დამეწვა და რა დრ...

**ბ.ჯ. -** მაინც, ძალიან გთხოვთ, ბატონო გურამ, საიტერესო იქნება, რაიმე სასაცილო ამბავი მოგვიყვეთ.

**გ.ს. -** რა ვიცი, ახლა არ მახსენდება.

**ბ.ს. -** ჩვენი გაზეთის მკითხველის ხათრით მაინც?

**გ.ს. -** ერთ ამბავს გავიხსენებ *(იცინის)*. მე და ჩემი ძმაკაცი, არზენ ასათიანი ქორწილში ვართ და დიდი სუფრაა გაშლილი. მოდის ჩვენთან ერთი ჭაღარა კაცი და გვეუბნება, შენ ბაზრობიდან მახსოვხარო და ვერ მოვითმინე, უნდა მოვსულიყავიო. წამოვდექი ეხლა ფეხზე და კი ბატონო, რაშია საქმე-მეთქი და შენი დედა, შენი ასე და ისეო და დამიწყო ლანძღვა. ასაკში იყო კაცი, ხელს ხო არ გავარტყამდი, არადა, ვერც სიტყვას შეუბრუნებდი, დავრჩი ასე გაღიმებული, მთელი ქორწილი ჩვენ გვიყურებდა *(იცინის)*. მერე, დიდხანს ვიცინეთ ამაზე.

**ბ.ჯ. -** დიდი მადლობა, წარმატებებს გისურვებთ.

# გადავარჩინოთ სიყვარული

### არაპროფესიონალი ხელოვანის პროფესიონალური ნამუშევრები "კოპალაში"



ეკა ჩიქვაიძე

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საკუთარი თავი სხვა სფეროში გამოსცადოს, მიიღოს ამით სიამოვნება და საკუთარი იდეით შექმნილი ნამუშევრები სხვასაც გაუზიაროს. ამის ნათელი დადასტურება დიანა კურცხალიას მიერ ბატიკაში შესრულებული ნამუშევრებია, რომელიც მან 12 დეკემბერს, გალერეა "კოპალაში" გამართულ გამოფენაზე წარუდგინა საზოგადოებას.

პროფესიით ფილოლოგი ხელოვანის დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების დარგში მოღვაწეობა შვიდი წლის წინ დაიწყო და ნელ-ნელა მის დამატებით უსაყვარლეს საქმიანობად იქცა. დიდი ხნის განმავლობაში იგი სხვადასხვა სკოლებში ინგლისური ენის პედაგოგად მუშაობდა და გარკვეული დროის მანძილზე სიმღერითაც იყო დაკავებული. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მან პროფესიით მუშაობას თავი დაანება და უფრო მეტი დრო დაიტოვა იმისთვის, რომ საყვარელი საქმიანობით დაკავებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის გაურბოდა თავისი ნამუშევრების აფიშირებას, ოჯახის წევრებისა და ახლობლების დახმარებით, მან შესძლო და საკუთარი ნამუშევრები ფართო საზოგადოების წინაშე წარმოადგინა.

"კოპალას" საგამოფენო დარბაზში დიანა კურცხალიას ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული 50-ზე მეტი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. კომპოზიციის ერთ სერიას მარტივი ორნამენტები, ხოლო მეორეს ყვავილები წარმოადგენდა. ბატიკაში შესრულებული ორნამენტებით, ყვავილებითა და ჰაეროვანი თაიგულებით, ავტორმა თავისი სათქმელი გადმოსცა საზოგადოებას და მათში თავისი სულიერება გამოხატა. "მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი საოცრად ლამაზი და მშვენიერია, ვერ გამოვხატავ ჩემს ემოციებს. მართალია არ მაქვს ისეთი შეხება ხელოვნებასთან, რომ მისი ნამუშევრები საკუთრივ დავახასიათო, თუმცა ნათელია, რომ დღეს ქალბატონმა დიანამ თავის შინაგან სამყაროში ჩაგვახედა, მისი საოცარი სულიერი სილამაზე გაგვანდო და ამ საოცარ სამყაროში ერთმანეთთან შეხვედრით, დიდი დღესასწაული მოგვიწყო", - მეუფე ნიკოლოზი.

თავად ავტორმა თავის პირველ პერსონალურ გამოფენას, პირობითად "გადავარჩინოთ სიყვარული" უწოდა. "კოპალას" საგამოფენო დარბაზში უამრავმა დამთვალიერებელმა: მისმა მეგობრებმა ახლობლებმა, ოჯახის წევრებმა, თუ ყოფილმა კოლეგებმა მოიყარეს თავი. მშვენიერ ფერებში შესრულებული ბატიკის ნამუშევრებით მიღებული სიამოვნება და აღტაცება, თითოეული მათგანის სახეზე აისახებოდა. გარშემო უამრავი ყვავილი მოიფინა, რომელიც მისი ნიჭის დასაფასებლად ავტორმა თავისი ახლობლებისგან მიიღო. "მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალბატონი თავის თავს არაპროფესიონალად მიიჩნევს, ფერისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით, ნამუშევები სრულიად პროფესიონალურად არის შესრულებული. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ისინი დიდი გემოვნებითაა შექმნილი, ხოლო გემოვნება მხატვრისთვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც ადამიანის სულიერ სამყაროსა და ინტელექტში გამოიხატება", - მხატვარი ნინო წულაია.

გალერეა "კოპალა"-ს საგამოფენო დარბაზში გამართული დიანა კურცხალიას დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა სამ დღეს გაგრძელდება და და საბოლოოდ 14 დეკემბერს დაიხურება.

# მიკი რურკი "უცოდველი" გახდა

### მიკი რურკი "ცამეტის" რიმეიკში

მიკი რურკი "ცოდვების ქალაქის" გაგრძელებაში, მონაწილეობას არ მიიღებს. მან მარვის როლზე უარი განაცხადა, მიზეზად კი კლაუსტროფობია დაასახელა.

"არა მე ეს უკვე აღარ მაინტერესებს. ყოველდღე ისევ სამი საათი გრიმის გაკეთებას ვერ ავიტან, ეს ჩემში კლაუსტროფობიას იწვევს,ასე რომ რაიმე სხვა როლით დავკავდები." განაცხადა მიკი რურკმა ComingSoon.net-ის ჟურნალისტთან საუბრისას.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფრენკ მილერი მზად იყო უკვე აპრილში დაეწყო "ცოდვების ქალაქის" სიქველზე მუშაობა, სცენარი მზად იყო და მილერი მხოლოდ რეჟისორ რობერტ როდრიგესის თანხმობას ელოდა მუშაობის დასაწყებად. მიკი რურკის მიერ მარვის როლზე უარის თქმა, შეაფერხებს ფილმის გადაღების დაწყებას, რადგან მარვი მილერის გრაფიკული ნოველების და "ცოდვების ქალაქის" პირველი ნაწილის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია. რურკმა სახე შექმნა და მისი სხვა მსახიობით შეცვლა ალბათ გამორიცხულია, ამიტომ მარვი ალბათ საერთოდ ამოვარდება ფილმიდან. მიკი რურკის მიერ პროექტის დატოვების შემდეგ, დიდი შანსია ფილმის გაგრძელებაში ჯონი დეპი ვიხილოთ. კაპიტანი "ბეღურა" ჯერ კიდევ "ცოდვების ქალაქის" პირველი ნაწილში აპირებდა მონაწილეობის მიღებას, მაგრამ გადატვირთული გრაფიკის გამო ფილმში თამაშზე უარის თქმა მოუწია. მას ჯეკი ბოი უნდა ეთამაშა, ეს პერსონაჟი საბოლოოდ ბენისიო დელ ტორომ ითამაშა. როდრიგესი დეპისთვის გაცილებით მასშტაბურ როლს ამზადებს. უოლესი ასე ქვია "ცოდვების ქალაქის" გრაფიკული ნოველების ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პერსონაჟს. სწორედ მის როლს უწინასწარმეტყველებენ დეპს.

მიკი რურკი ახლა ქართველი რეჟისორის გელა ბაბლუანის პროექტშია დაკავებული. "ცამეტის" რიმეიკში, რურკის განცხადებით ის სრულიად ახალ პერსონაჟს ითამაშებს, ისეთს რომელიც ორიგინალ ვერსიაში არ არის.

სულ მალე ეკრანებზე გამოვა დარენ არონოფსკის ახალი ფილმი The Wrestler სადაც მიკი რურკი მთავარ როლს ასრულებს. ფილმში მის მიერ განსახიერებული პერსონაჟი, რენდი "რემ" რობინსონი, მსახიობის საუკეთესო როლად შერაცხეს, თავად ფილმმა კი ვენეციის კინოფესტივალზე მთავარი ჯილდო, "ოქროს ლომი", მოიპოვა.

# უნდა გვეშინოდეს თუ არა კუსტურიცასი...

## რუსეთის ხელისუფლების ახალ პროექტს "ბიბისი" ეხმიანება

თამარ კიკნაველიძე

რუსეთის ხელისუფლების მიერ სერბი რეჟისორისადმი შეთავაზებული პროექტი, რომელიც ისტორიული სამაჩაბლოს ტერიტორიაზე აგვისტოში განვითარებული მოვლენების ასახვას ითვალისწინებს, საყოველთაო მსჯელობის საგანი გახდა. ამ ინიციატივას, რუსეთის მას-მედიის საშუალებების გარდა, საქართველოშიც გამოეხმაურნენ და მასზე "ბი-ბი-სი"-ც ალაპარაკდა.

ემირ კუსტურიცა, რომელიც წარმოშობით ბოსნიელია, ევროპის ყველა მნიშვნელოვანი კინოფესტივალის პრიზით არის დაჯილდოებული. ის არის საფრანგეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენის კავალერი და კინემატოგრაფში მუშაობის პარალელურად, ცნობილია, როგორც როკ-ჯგუფის - "The No Smoking Orchestra" წევრი.

რეჟისორი, 1954 წლის 24 ნოემბერს, სარაევოში დაიბადა, რომელიც მაშინ ბოსნია- ჰერცოგოვინას გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქი იყო და იუგოსლავიის შემადგენლობაში შედიოდა. წინაპრებზე საუბრისას, კუსტურიცა აღნიშნავს, რომ მისი შორეული წინაპრები მართლმადიდებელი სერბები იყვნენ, მისი მამა - მურატ კუსტურიცა კომუნისტური პარტიის წევრი გახლდათ და ბოსნია-ჰერცოგოვინას საინფორმაციო სამინისტროში მუშაობდა. სარაევოდან 18 წლის კუსტურიცა განათლების მისაღებად გაემგზავრა და პრაღაში ყველაზე პრესტიჟულ საშემსრულებლო ხელოვნების აკადემიის (FAMU) კინოსა და ტელევიზიის ფაკულტეტზე ჩააბარა. მან სადიპლომოდ 25 წუთიანი ფილმი, სახელწოდებით - "გერნიკა" (1978 წ.) გადაიღო, რომელიც ებრაელ ბიჭუნაზე მოგვითხრობს. ნაციზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მიმართულმა სურათმა, რომლის რეჟისორიც, სცენარისტიც და ოპერატორიც თავად გახლდათ, სტუდენტური კინოს ფესტივალზე მთავარი პრიზი მიიღო. 1981 წელს კი, რეჟისორის სრულმეტრაჟიანი ფილმის დებიუტიც შედგა. აღსანიშნავია, რომ სურათი "გახსოვს თუ არა დოლი ბელი?" პირველი იუგოსლავიური ფილმია, რომელიც სერბოხორვატიულ ენაზე კი არა, მის ბოსნიურ დიალექტზეა გადაღებული. სწორედ ამ ფილმმა მოუტანა კუსტურიცას წარმატება.

მომდევნო სურათი მან ოთხი წლის შემდეგ, 1985 წელს გადაიღო. "მამა მივლინებაში" ბავშვის თვალით დანახული იუგოსლავიის ომის შემდგომ პერიოდს ეძღვნება. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის მარშალი ტიტო უკვე გარდაცვლილი იყო, ომისშემდგომი რეპრესიები და ტიტოს სტალინთან დავა, რომელიც ამ ფილმშია ნახსენები, ჯერ ისევ აკრძალულ თემად ითვლებოდა. ამ ფილმმა კუსტურიცას "ოქროს პალმის რტო" და კანის კინოფესტივალზე, "ფიპრესის" პრიზი მოუტანა. ამასთან, ის "ოსკარზეც" და "ოქროს გლუბუსზეც" იყო წარდგენილი.

კუსტურიცას მესამე ნამუშევარი - "ბოშათა ჟამი" ბრიტანელი და იტალიელი პროდიუსერების მონაწილებით შეიქმნა. მაკედონიაში გადაღებულ ფილმში კუსტურიცა პირველად შეეხო ბოშათა ცხოვრების თემატიკას და კინოს ისტორიაში პირველმა გადაიღო ფილმი ბოშურ ენაზე. ამ სურათისათვის ის კანის კინოფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისათვის დაჯილდოვდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მან

ბას-გიტარაზე დაკვრა...

სარაევოს კინოსკოლაში მიღებული პედაგოგიური გამოცდილების შემდეგ, მან ლექციების კითხვა, მილოშ ფორმანის მიწვევით, კოლუმბიის უნივერსიტეტში განაგრძო. აღსანიშნავია, რომ სცენარი, რომელიც კუსტურიცას სტუდენტმა - დევიდ ატკინსონმა დაწერა, მცირეოდენი დამუშავების შემდეგ, საფუძვლად დაედო ინგლისურენოვან ფილმს - "არიზონული ოცნება" (Arizona Dream, 1993). მასზე მუშაობა დიდხანს გაგრძელდა და საპრემიერო დღეც რამდენჯერმე გადაიდო, ის არც კრიტიკოსებმა მოიწონეს და კინოგაქირავებაშიც "ჩავარდა". თუმცა, ბერლინის კინოფესტივალზე მას "ვერცხლის დათვი" მაინც მიენიჭა. ის კუსტურიცას პირველი, და როგორც ჩანს, უკანასკნელი, ამერიკული ფილმია, რეჟისორი ხშირად აღნიშნავს, რომ ჰოლივუდში მუშაობა არ სურს.

1992 წელს ბოსნიაში ომი დაიწყო. სარაევოში კუსტურიცას სახლი დაინგრა, რეჟისორის მამა კი, მომხდარიდან სულ ცოტა ხანში გულის შეტევით გარდაიცვალა. ოჯახმა თავი ჩერნოგორიას შეაფარა. ამ დროს კუსტურიცა იუგოსლავიაში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ფანტასმაგორიულ და შავი კომედიის ელემენტებით გაჯერებულ ფილმზე "ანდეგრაუნდი", რომელიც ცნობილი იუგოსლაველი დრამატურგის დუშანა კოვაჩევიჩის სცენარის მიხედვით გადაიღო. ფილმი ეკრანებზე 1995 წელს გამოვიდა. მასში რეჟისორმა თავისი ქვეყნის წარსული უახლოეს ისტორიაში მომხდარ ეპიზოდებს დაუკავშირა, რამაც კრიტიკოსების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია და კუსტურიცამ ჩათვალა, რომ მას ვერ გაუგეს, ის კინემატოგრაფიიდან წასვლასაც აპირებდა... "ანდეგრაუნდმა" მას მეორე "ოქროს პალმის რტო" მოუტანა.

სამი წლის შემდეგ, ბოშათა თემას ის ფილმში "თეთრი კატა, შავი კატა" (1998 წ.) დაუბრუნდა, რომელიც "ბოშათა ჟამისგან" განსხვავებით, კომედიაა. იმის გამო, რომ რეჟისორმა გორან ბრეგოვიჩთან თანამშრომლობა "ანდეგრაუნდის" გადაღების შემდეგ შეწყვიტა, ამ ფილმისათვის მუსიკა ჰელე კარაილიჩმა დაწერა. ამის შემდეგ, კუსტურიცა, ძირითადად, ჯგუფის - "The No Smoking Orchestra" ჩამოყალიბებით იყო დაკავებული. 2004 წელს კი, ეკრანებზე მისი ახალი ფილმი, "ცხოვრება მშვენიერია" გამოვიდა და "სეზარის" პრემიით დაჯილდოვდა.

კუსტურიცას მერვე სრულმეტრაჟიანი ფილმის - "აღთქმა" პრემიერა 2007 წელს გაიმართა. ამავე წელს შედგა პრემიერა პანკ-ოპერისა "ბოშათა ჟამი", რომელიც მისმა ჯგუფმა ამავე სახელწოდების ფილმის მოტივებზე შექმნა.

2005 წლიდან მართლმადიდებლად მონათლულ ემირ კუსტურიცას ხშირად თავს პოლიტიკური შეხედულებების მიზეზით ესხმიან. რეჟისორი დღესაც იუგოსლავიის დაშლის მოწინააღმდეგედ რჩება და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა აღარ არსებობს, საკუთარ თავს იუგოსლაველს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ 2007 წელს მან საპარლამენტო არჩევნებში მხარი მემარჯვენე - "სერბეთის დემოკრატიულ პარტიას" დაუჭირა, ხოლო მოგვიანებით კი, სერბეთის კულტურის მოღვაწეებთან ერთად, სერბეთისაგან კოსოვოს გამოყოფის წინააღმდეგ გამართულ აქციაში მონაწილეობდა.

რეჟისორის ბიოგრაფიული მონაცემებიდან გამოდინარე, მკითხველისათვის ცხადი უნდა გახდეს აღელვებს თუ არა ომის თემა რეჟისორს.

რუსული მედიის საშუალებები უკვე თამამად იუწყებიან იმის შესახებ, რომ კუსტურიცა მისთვის შეთავაზებული პროექტის განხორციელებაზე თანახმაა. რუსეთის ბეჭდური მედიით გავრცელებულ წყაროებზე დაყრდნობით კი, ირკვევა, რომ წინასწარი შეთანხმება სერბთან მისი რუსეთში ყოფნისას იქნა მიღწეული, რეჟისორი მზად არის ყველა პროექტი გვერდზე გადადოს და მუშაობა დაიწყოს ფილმზე, რომელიც აგვისტოს მოვლენებს შეეხება.

"ფილმის სიუჟეტზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, ეს ავტორის საქმეა და ჩვენ მზად ვართ კუსტურიცას, საჭიროების შემთხვევაში, მისთვის აუცილებელი მასალის მიწოდებაში დავეხმაროთ, მაგრამ არ ვაპირებთ მას თავს რაიმე მოვახვიოთ. ის თანამედროვეობის გამოჩენილი რეჟისორია და ვის შეუძლია მას უკარნახოს?" - აღნიშნავს ერთ-ერთი რუსული გამოცემისადმი მიცემულ ინტერვიუში საზოგადოებრივი ორგანიზაციის - "ეროვნული ფორუმი - ოსეთი ადანაშაულებს", თავმჯდომარე რუსლან ბზაროვი.

რუსული გაზეთების ვებ-გვერდებზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ხელოვანების მოსაზრებებიც არის მოცემული. თუმცა, საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრის - გრიგოლ ვაშაძის მიერ გახმაურებულ მოსაზრებას: - "ჩვენ კუსტურიცას ვთხოვთ ჩამოვიდეს საქართველოში, რათა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის დეტალებს გაეცნოს, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას, რაც უნდა ის გადაიღოს", - პროექტის ინიციატორები სკეპტიკურად უყურებენ. ისინი ისეთი დაბეჯითებით საუბრობენ რეჟისორის შეხედულებებსა და დამოკიდებულებებზე, რომ ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ქართველების უნდობლობასა და შიშს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მოაზრებული პროექტის მიმართ. კუსტურიცასთან შეხვედრა და პროექტის განხორციელების დეტალებზე საუბარი დეკემბრის შუა რიცხვებში იგეგმება.

"ბი-ბი-სი" კი ამ ფაქტს საქართველოს ორი წარმომადგენლის საწინააღმდეგო მოსაზრებების გავრცელებით ეხმაინება. ის აღნიშნავს, რომ რეჟისორთან გამართული მოლაპარაკებების ინიციატორი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, რომლებთანაც დიალოგი მოსკოვის ერთ-ერთ კლუბში შედგა, სადაც კუსტურიცა მისი ჯგუფის კონცერტით გამოდიოდა. "ბი-ბი-ბი-"ს ინფორმაციაზე დაყრდნობით, კუსტურიცამ ფილმის გადაღებაზე თანხმობა უკვე განაცხადა, სცენარი კი ოსი ჟურნალისტის, ამჟამად პარიზში მცხოვრები, ფატიმა სალკაზანოვას მიერ მომზადებულ მასალაზე იქნება აგებული. რეჟისორის მხრიდან, ამ ინფორამაციის დამადასტურებელი საბუთი ჯერ არ არსებობს, თუმცა პროექტმა რეზონანსი პრესასა და საზოგადოებაში ნამდვილად გამოიწვია.

"არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც," - გვამცნობს "ბი-ბი-სი" და მაგალითად, რეჟისორი ქეთი დოლიძე მოჰყავს, რომელმაც ემირ კუსტურიცასადმი მიწერილი ღია წერილი გამოაქვეყნა, სადაც ის რეჟისორს მოუწოდებს, აგვისტოს მოვლენები ცალსახად არ გააშუქოს.

"მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ფილმი გადაიღო ნებისმიერი შეკვეთითა და თხოვნით, - ამბობს ქეთი დოლიძე "ბი-ბი-სი"-სადმი მიცემულ ინტერვიუში, - მაგრამ თუ მან ეს მოიწადინა და თანახმაა ის გააკეთოს, მაშინ ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ის ქართულ მხარეს არ დაუკავშირდეს, მით უფრო, თუ ფილმი დოკუმენტური იქნება, და არ შეისწავლოს ანატომია ყველაფრისა, რაც ხდებოდა".

აქვე, ქეთი დოლიძის პოზიციის საწინააღმდეგოდ, რესპუბლიკელთა პარტიის წარმომადგენელის ლევან ბერძენიშვილის მოსაზრებაცაა მოცემული, რომელიც ამ პროექტის განხორციელებაში საშიშროებას ვერ ხედავს.

"ეს ფილმი იქნება ომზე, ყველაფერ კარგზე, რაც ქართულ, ასევე, ოსურ მხარეს ხდებოდა - ჰუმანური ნაბიჯები, გმირობა და ასე შემდეგ... , - ნათელს ჰფენს საკუთარ შეხედულებებს დეპუტატი, - და, ბუნებრივია, ეს იქნება ომის საწინააღმდეგო ფილმი". "მე დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩვენ კუსტურიცასი უნდა გვეშინოდეს. მე ვფიქრობ, რომ საქართველოში უნდა გვეშინოდეს მათი, რომლებიც ახალი ომისკენ მოგვიწოდებენ", - მიაჩნია ბერძენიშვილს.

კითხვაზე, უნდა გვეშინოდეს თუ არა კუსტურიცასი, პასუხს უფრო თამამად გავცემდით სიმართლის დაფიქსირებითა და მისი პოპულარიზაციით ქართველებიც რომ ვიყოთ დაკავებულნი. მოტივაცია ზედმეტად დიდი გვაქვს, თუმცა დღემდე, კინორეჟისორ ნინო კირთაძის გარდა, ამ თემის ასახვით, სამწუხაროდ, არავინ დაინტერესებულა. ნანა ჯანელიძის პროექტსა და სურვილს, გადაეღოთ დოკუმენტური ფილმი, საქართველოში დამფინანსებელი არ გამოუჩნდა.



# ქართული ტიხრული მინანქრის შესახებ

## ნანა მიქაძის ტიხრული მინანქარი ერევანში გამოიფინა

ბელა ჩეკურიშვილი

ქართული ტიხრული მინანქარი ის ფენომენია, რომელიც ჩვენი ფოლკლორული მუსიკასავით შინაურსაც და უცხოსაც ერთნაირად აღაფრთოვანებს. ეს არ არის მოდაში შემოსული ხელოვნება, - ამბობენ ტიხრული მინანქრის მხატვრები, - უბრალოდ, დავიწყებული ტრადიცია აღორძინდა და შესაბამისად, ახალი ნამუშევრები შეიქმნა.

ქართული ტიხრული მინანქრით მოხიბლულები დარჩნენ ერევნელები რამდენიმე დღის წინ გამართულ გამოფენაზე. მათ ერევნის სახლმწიფო თეატრის შენობაში და კულტურის ცენტრ "აოქსში" მხატვარ-დიზაინერ ნანა მიქაძის ტიხრული მინანქრის ნამუშევრები იხილეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მაია ვიბლიანის თექაც.

ქართველი დიზაინერები ერევანში რეჟისორ ედვარდ ედიკისილოვის მიწვევით ჩავიდნენ, რომელმაც შემოდგომის მიწირულს ერევანში ქართული კულტურის დღეები ჩაატარა და მხატვრებთან ერთად ფოლკლორული ანსამბლებიც მიიპატიჟა. რეჟისორი ედიკისილოვი კარგად იცნობს ქართველებს და საქართველოს, იგი ვახტანგ კიკაბიძის ბავშვობის მეგობარია და ერთ დროს თბილისშიც უცხოვრია.

**ნანა მიქაძე:** "გამოფენაზე მოდიოდნენ ისინი., ვინც იცნობდა საქართველოს, ნაცხოვრები იყო ჩვენს ქვეყანაში, ანდა ქართული სისხლი ერია, ასევე სომხეთის კულტურის მოღვაწეები. ძალიან მოსწონდათ და შეძენის სურვილიც ბევრმა გამოთქვა. სომხეთში არ არიან ტიხრული მინანქრის მხატვრები, იქ მხოლოდ ფერწერული მინანქარი კეთდება, ე.წ. "ცივი ემალი". ეჩმიაძინში ვნახეთ ამ ტექნოლოგიით დამზადებული მინანქრის კვერცხები ერთ ფერში. კვერცხებს მეც ვაკეთებ, გულსაკიდებისა და საყურეების სახით, იმ განსხვავებით, რომ ჩემი ნამუშევრები ტიხრულია. კვერცხი მარადიულობის სიმბოლოა და ამგვარ ნიმუშებს გარდა სამკაულისა, რელიგიური დატვირთვაც აქვს, ოღონდ არა მართლმადიდებლურ ეკლესიაში".


*ნანა მიქაძე*

რეჟისორმა ედიკისილოვმა გადაწყვიტა, გადაიღოს ფილმი ქართული ტიხრული მინანქრის შესახებ, მის ისტორიასა და ტექნოლოგიაზე, რასაც სომეხი მაყურებლისთვის შემეცნებითი ხასიათი ექნება, ხოლო ქართულ ხელოვნებას კი პოპულარიზაციას გაუწევს. ედიკისილოვი მალე საქართველოში ჩამოვა ვახტანგ კიკაბიძის იუბილეზე და ქართული მინანქრის სხვა ოსტატებსაც გაიცნობს.

როგორც ნანა მიქაძემ აგვიხსნა, მინანქარი სამი სახისაა: ტიხრული, ფერწერული და ტვიფრული. ტრადიცული ქართული მინანქარი ტიხრულია, რომლითაც საუკუნეების მანძილზე ხატები და საეკლესიო ნივთები მშვენდებოდა. დღეს მან სამკაულის ფუნქციაც შეიძინა და უნდა ითქვას, რომ ქართული ბაზარი გადაივსო მინანქრის ნაკეთობებით. ამავე დროს გამოჩნდა სხვადასხვა სიმბოლოები, მაგალითად, კუ - ბარაქის სიმბოლოდ მიიჩნევა და მასზე დიდი მოთხოვნაა, კვერცხი სუვენირად მოსწონთ, კეთდება პანოები, მოკლედ, მხატვართა ფანტაზია ამოუწურავია. მთავარია კომპოზიცია შეიქმნას, თორემ მერე ფერების ჩალაგება უკვე გემოვნების საქმეა.

ნანა მიქაძე 3 წელია ტიხრულ მინანქარს აკეთებს, მანამდე მას თექისა და გობელენის ოსტატად იცნობდნენ. თვითონ მიიჩნევს, რომ ტიხრულ მინანქარს ამოუწურავი შესაძლებლობები აქვს და ხელოვნების ამ დარგისგან მომავალშიც სიურპრიზებს უნდა ველოდოთ.

"მინანქრის ტექნოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი რამ შევქმნათ, რაზეც გვიოცნებია. შეიძლება მინანქარი სპილენძშიც გაკეთდეს, ხოლო მისი ფერადოვნება ამოუწურავია - 1000-ზე მეტი ფერია, მათ შორის გარდამავალი და ნახევარტონები. ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა შექმნა ნებისმიერი ფორმა, ტიხარი და ფერი, რაც კი თავში აზრად მოგივა, შეგიძლია გააკეთო პორტრეტი, პანო, გამოიყენო დეკორად, კაბაზე, ვარცხნილობაზე, კეთდება ვიტრაჟული მინანქარიც და ეს ის მასალაა, რომელიც საუკუნეებს უძლებს, მიწიქვეშაც კი არ კარგავს თავის თვისებებს, ეს კი ხელოვანს უფრო მეტი ენერგიით გავსებს: იცი, რომ შენი შრომა ფუჭი არაა", - ამბობს მხატვარი.

დღეს მინანქარზე ბევრი მხატვარი თუ ხელოსანი მუშაობს. სამკაულებს და სუვენირებს ვხვდებით სამხატვრო სალონებსა და საიუველირო მაღაზიებში, ოქროს ბირჟაზე. მაგრამ მხატვრებს კონკურენცია კი არა, პლაგიატობისა და საავტორო უფლების დაცვის საკითხი აწუხებთ. მხატვრის მიერ დამუშავებულ დიზაინს სულ იოლად "იპარავენ" ხელოსნები, აკეთებენ შაბლონს და ბაზარზე გამოაქვთ. ასე გავრცელდა ე.წ. ყვავილოვანი ჯვარი, რითაც ხახულის ღვთისმშობლის ხატი იყო გამშვენებული, მისი თანამედროვე ვერსია ნანა მიქაძემ დაამუშავა, დღეს კი ყველა აკეთებს, ასე გადაიღეს ნემსიყლაპიები, კუები. როგორც ნანა მიქაძე ამბობს, თავდაცვის არანაირი მექანიზმი არ არსებობს და მხატრებს ისღა დარჩენიათ ახალ-ახალი მოდელები მოიგონონ.

ნანა მიქაძის ნამუშევრები არა მხოლოდ თბილისში, სიღნაღში, გორსა და ბათუმშიც შეგხვდებათ, ასევე დიდი მოწონებით სარგებლობს უცხოეთში - გასულია ჰოლანდიასა და იტალიაში, თუმცა კი, მხატვრის თქმით, უცხოური ბაზრის ასათვისებლად სხვა მასშტაბებია საჭირო. იგი ამ ხელოვნებას უშურველად გადასცემს მოსწავლეებს, მის სახელოსნოში მუდამ არიან ასეთები, რომლებიც სწავლობენ როგორც მინანქრის ტექნოლოგიას, ასევე საიუველირო საქმეს, ყალიბის გაკეთებას, ახალი მოდელის შექმნას. და კეთდება საყურეები, გულსაკიდები, სამაჯურები, ბეჭდები, ჯვრები, ხატები, სუვენირები საჩუქრად, ნათლობისთვის, საქორწილოდ, სამზითვოდ...


## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2008 წლის 13 დეკემბრიდან აცხადებს რადიოსიხშირეების მომსახურების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **რადიოსიხშირეების მომსახურების შესყიდვის** შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და შესაბამის ტექნიკური დავალება (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2008 წლის 13 დეკემბრიდან 2009 წლის 5 იანვრის ჩათვლით სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურებანი |
|---|---|
| | |
| 1 | რადიოელექტრონული საშუალებების (რადიოტექნიკური სისტემების) ელექტრომაგნიტური თავსებადობა, მინიჭებული სიხშირეების სპექტრული ანალიზი, რადიომონიტორინგისა და რადიოხელშეშლების გამოვლენა, ტექნიკური რეკომენდაციების გაწევა და კონსულტაციები სიხშირეების სარგებლობისა და მის მიერ გამოყენებული რადიოგადაცემების ექსპლოატაციის წესების თაობაზე, მათი გამართული ფუნქციონირებისათვის |

შენიშვნა: *სიხშირეები და მათი რაოდენობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც პრეტენდენტებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად;*

3. **მომსახურების გაწევის პირობა და ადგილი:** ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად;
4. **მომსახურების გაწევის ვადა:** 2009 წლის განმავლობაში.
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 6 იანვრის** 9სთ 00 წთ დან – **18** სთ და **00** წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

<u>იურიდიული პირებისათვის :</u>

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>
4. ინფორმაცია განხორციელებული მსგავსი მომსახურების გაწევის შესახებ.

7. <u>ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :</u>

1. ხელმოწერილი (ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები. <u>არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი</u>

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან სხვა ვალუტაში <u>დღგ-ს</u> გარეშე; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ <u>56-33-71 მაკა ქუჟუნაშვილი;</u> (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

<u>სატენდერო კომისია</u>

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# სპორტი

## სარაგბო სეზონს თასის ფინალი დაასრულებს




გოგიტა ბახტაძის ფოტო

*მწვრთნელები უშეღავათო ბრძოლას გვპირდებიან.*

ვასილ უდუმაშვილი

დღეს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონზე, ქართული სარაგბო სეზონი საქართველოს თასის გათამაშების ფინალური მატჩით დასრულდება.

საქართველოს თასის რიგით მეცხრე გათამაშების გადამწყვეტ მატჩში ორი თბილისური გუნდი - "ლელო" და "აკადემია" დაუპირისპირდება ერთმანეთს.

სეზონის განმავლობაში ნაჩვენები თამაშისა და შემადგენლობის მიხედვით "ლელო" აშკარა ფავორიტად გამოიყურება. "აკადემიის" ფინალში გასვლა კი სიურპრიზადაც შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, სათასო მატჩებს თავისი სპეციფიკა აქვთ და სიურპრიზებზე საუბარი არასწორი იქნებოდა.

2004 წელს ამ გუნდებმა თასის ფინალი უკვე ითამაშეს. მაშინ ლამაზ და სანახაობრივ მატჩში "ლელომ" გაიმარჯვა. ვინ მოიგებს წლეულს თასს, ეს ამ საღამოს გახდება ცნობილი. ის, რომ თამაში დაძაბული და კარგი საცქერი იქნება, ამაში რაგბის მოყვარულს ეჭვი არ ეპარება.

გუშინ საქართველოს რაგბის კავშირში გაიმართა ფინალისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია, რომელსაც ორივე გუნდის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**პაატა ნარიმანაშვილი ("აკადემიის" მთავარი მწვრთნელი):** "მატჩისთვის ჩვეულ რეჟიმში ვემზადებოდით, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. თავად თამაში კი, ჩემი აზრით, ლამაზი და დაძაბული იქნება. ცხადია, ფავორიტად "ლელო" უნდა ჩაითვალოს. ფინალში ჩვენი გასვლა თავისთავად მოულოდნელობა იყო. წინა ეტაპებზე გაგვიმართლა და, იმედია, ფორტუნა არც ფინალურ მატჩში შეგვაქცევს ზურგს. ორივე გუნდს ჰყავს თავისი გულშემატკივარი. რაგბის ნეიტრალური ქომაგი კი, იმედია, ჩვენ დაგვიჭერს მხარს."

ნარიმანაშვილის ამ სიტყვებს რაგბის კავშირის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ: "თქვენ ნახევარფინალშიც ასე ამბობდით - ფავორიტი მეტოქეაო და მოიგეთ. ეტყობა, კარგად გაქვთ დაცდილი". შემდეგ "ლელოს" მთავარმა მწვრთნელმა აიღო სიტყვა.

**ლევან მაისაშვილი ("ლელოს" მთავარი მწვრთნელი):** "მომზადების მხრივ ცოტა გაგვიჭირდა. ბიჭები გადაიღალნენ, ძალიან დაძაბული სათამაშო გრაფიკი გვქონდა. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენი გუნდის ოთხი მორაგბე შვიდკაცა ნაკრებშია. ასე რომ, სულ რამდენიმე დღეა, რაც სრული შემადგენლობით დავიწყეთ მზადება. რაც შეეხება თამაშს, ფავორიტის დასახელებისგან თავს შევიკავებ. ბოლოს და ბოლოს, ფინალია და აქ ფავორიტი არ არსებობს. ჩვენი მხრიდან მეტოქის შეუფასებლობა შეცდომა იქნება. მშვენივრად ვიცი, რაოდენ ძლიერ და მებრძოლ გუნდს ვუპირისპირდებით. ცხადია, მოგება გვინდა. იმედი მაქვს, ხვალ გავიმარჯვებთ, მაგრამ ვიცი, რომ ეს იოლი არ იქნება".

**როლანდ ბატოიანი ("აკადემიის" კაპიტანი):** "დაძაბული მატჩი იქნება. ჩვენი გუნდის თითოეული მოთამაშე მზადაა ფინალისთვის და მოედანზე გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებს. შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ჩვენთვის ფინალში მოხვედრაც დიდი მიღწევაა და ამის გამო მოტივაცია დაგვაკლდება. მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, ცდება. ეს ფინალია. ჩვენ გვესმის, რომ ერთი მატჩი დარჩა მოსაგები და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ გამარჯვებისთვის".

**ილია მაისურაძე ("ლელოს" კაპიტანი):** "ყველა მორაგბისთვის ბედნიერებაა ასეთი დონის თამაშში მონაწილეობა. პირადად მე საქართველოს თასი არ მაქვს მოგებული და ხვალ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ფინალური სასტვენის შემდეგ თასი მე გადმომცენ. რაგბიში არსებობს დაუწერელი კანონი: მეტოქის შეუფასებლობა აუცილებლად ისჯება. აქ ბევრი ითქვა იმაზე, თუ ვინ არის ფავორიტი. მე კი მგონია, რომ მოედანზე გავა ორი გუნდი, რომელსაც გამარჯვების ერთნაირი შანსი აქვს. გაიმარჯვებს ის, ვინც ბოლომდე დაიხარჯება".

ერთი სიტყვით, დღეს რაგბის მოყვარულებს "ლოკომოტივის" სტადიონზე კარგი სანახაობა ელით. ვინც არ დაიზარებს, სიცივეს არ შეუშინდება და სტადიონზე მივა, დარწმუნებული ვარ, არ ინანებს.

ფინალზე საუბრის შემდეგ რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა საბავშვო ფესტივალზეც გვითხრეს.

გასულ უქმეებზე თბილისში ჩატარდა ნოდარ ყიფიანის სახელობის სარაგბო ფესტივალი, რომელშიც 1994-95 წლებში დაბადებულმა ბავშვებმა მიიღეს მონაწილეობა. ამ შაბათ-კვირას კი თბილისი უმასპინძლებს ირაკლი ჩხეიძის სახელობის სარაგბო ფესტივალს, რომელშიც 1996-97 წლებში დაბადებული ბავშვებით დაკომპლექტებული 20 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალში რაიონიდან ჩამოსული გუნდებიც ჩაებმებიან. ბავშვებს ეროვნული ნაკრების მორაგბეები უმსაჯებენ.

**ილია მაისურაძე:** ბოლო ორი წლის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით გაიზარდა სარაგბო კერების რაოდენობა. ჩვენ კიდევ უფრო მეტი გვსურს. იმ ხალხს, ვინც რაგბის განვითარებისთვის იღვწის, სამუშაო უნდა დაუფასდეს. სწორედ ამას ემსახურება საბავშვო ფესტივალები. რაიონიდან ჩამოსული გუნდები სასტუმროებში დავაბინავეთ. ბავშვებს ორდღიანი ზეიმი უნდა მოვუწყოთ. თავად სარაგბო ფესტივალის გარდა, ბავშვები თასის ფინალურ მატჩს დაესწრებიან. ფესტივალის მნიშვნელობა ის არის, რომ ბავშვები რაგბის სულისკვეთებას ეზიარონ".

**გია ნიჟარაძე (რაგბის კავშირის პრეზიდენტი):** "იმ დღიდან, როდესაც ჩვენი გუნდი რაგბის კავშირში მოვიდა, ვთქვი, რომ ჩვენი პრიორიტეტი ბავშვთა რაგბია. ასეთ ფესტივალებზე თაობები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ. მოზარდებს აქვთ საშუალება ეროვნული ნაკრების მორაგბეებთან ჰქონდეთ ურთიერთობა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, ფესტივალზე ჩამოსული ბავშვები სარაგბო სექციის დატოვებას არ მოინდომებენ და ვარჯიშს გააგრძელებენ. შესაძლოა ყველა დიდ მორაგბედ არ იქცეს, მაგრამ ვაჟკაცებად ნამდვილად გაიზრდებიან".

### რუსეთს საფრანგეთში ვუმასპინძლებთ

ამას წინათ პარიზში ჩატარდა ევროპული რაგბის ასოციაციის გენერალური ასამბლეა, რომელმაც ერთა თასზე საქართველოსა და რუსეთს შორის გასამართი მატჩების თაობაზეც მიიღო გადაწყვიტილება. შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ფაქტობრივად შეუძლებელია მატჩებს საქართველომ და რუსეთმა უმასპინძლონ.

ევროპული რაგბის მამების გადაწყვეტილებით, რუსეთ-საქართველოს მატჩი, რომელიც 2009 წლის 21 მარტს უნდა გაიმართოს, უკრაინაში ჩატარდება, 2010 წელს საქართველო-რუსეთის მატჩს კი საფრანგეთი უმასპინძლებს. შეთანხმება უკვე მიღწეულია და, სავარაუდოდ, აღარ შეიცვლება.

### დათუკაშვილი ჩემპიონობისთვის იბრძვის

ქართველი ხელბურთელის სერგო დათუკაშვილის "გორენიემ" სლოვენიის ჩემპიონატში მორიგი მატჩი ჩაატარა და მთავარ კონკურენტთან "კოპერთან" სტუმრად ფრეს მიაღწია - 26:26. ახლა სატურნირო ცხრილის თავში სწორედ "კოპერია", 19 ქულა აქვს და მხოლოდ ერთით უსწრებს დათუკაშვილის გუნდს.

ასევე პრინციპული მატჩი ჩაატარა ირაკლი ჩიქოვანის "მეტალოპლასტიკამ" სერბეთის ჩემპიონატში, "ცრვენას" სტუმრად 24:23 მოუგო და ქულებით გაუთანაბრდა. 12 ტურის შემდეგ ორივე გუნდს 17 ქულა აქვს და პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. ჩიქოვანმა გოლი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ გაიტანა დათუკაშვილმა.

### ქალ ფრენბურთელთა ნაკრებს კალენდარი დაუდგინეს

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციაში გამართული კენჭისყრის შედეგად გაირკვა, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ეროვნული გუნდის მეტოქეები იქნებიან დანიის, ესტონეთისა და მოლდოვას ნაკრებები. მომდევნო ეტაპზე თამაშს ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი გააგრძელებს.

ეს საქართველოს ფრენბურთის ფედერაციაში განაცხადეს. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი იაპონიაში 29 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე გაიმართება.

პირველი შესარჩევი ეტაპი 9-11 იანვარს ესტონეთში ჩატარდება:

9 იანვარი
დანია - მოლდოვა
საქართველო - ესტონეთი
10 იანვარი
საქართველო - დანია
ესტონეთი - მოლდოვა
11 იანვარი
მოლდოვა - საქართველო
დანია - ესტონეთი

### კალაძე დააჯარიმეს

იტალიური "მილანის" ქართველი მცველი კახა კალაძე არბიტრ სტეფანო ფარინას კრიტიკისთვის 10 ათასი ევროთი დააჯარიმეს. კალაძემ რეფერი "ტორინოსთან" ფრედ (2:2) დამთავრებულ მატჩში დანიშნული პენალტის გამო გაკიცხა. ფარინამ კახა ხელით თამაშში დაადანაშაულა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა, რამაც მილანელებს გამარჯვება დააკარგვინა.

კალაძემ ფარინა წესების არცოდნაში დაადანაშაულა. მოგვიანებით საკუთარი სიტყვებისთვის ბოდიში მოიხადა, მაგრამ ჯარიმას მაინც ვერ გადაურჩა. გარდა ამისა, "მილანს" 7 ათასი ევროს გადახდა მოუწევს.

### "ხიზანა" ბრუნდება

უკვე ერთი თვეა, საქართველოს ნაკრების მცველს ზურაბ ხიზანიშვილს "ბლექბერნის" შემადგენლობაში არ უთამაშია. ამის მთავარი მიზეზია ტრავმა, რომელიც "ხიზანას" აწუხებდა. ინგლისური მედიის ინფორმაციით, ქართველმა ტრავმა მოიშუშა და "ბლექბერნს" დაუბრუნდება ინგლისის ჩემპიონატის უახლოეს ტურში, როდესაც პოლ ინსის გუნდი "უიგანს" შეხვდება.

### კინი "ლივერპულში" კმაყოფილია

ირლანდიის ნაკრებისა და ინგლისური "ლივერპულის" ფორვარდი რობი კინი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში სამუშაო ადგილის შეცვლას არ გეგმავს.

"სულ რამდენიმე თვეა, რაც "ლივერპულში" ვთამაშობ და წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანეთ, რომ კლუბის დატოვებას ვაპირებ. "ლივერპულში" თამაშზე დიდი ხანია ვოცნებობდი და, მერწმუნეთ, აქ კიდევ დიდხანს ვითამაშებ. ის, რომ ჯერჯერობით სრული ძალით ვერ ავთამაშდი, გუნდიდან წასვლის მიზეზი ვერ იქნება. ყველას ესმის, რომ ადაპტაციის პერიოდი მაქვს", - აღნიშნა კინმა.

ცნობისთვის გეტყვით, რომ კინთან განშორებას არც "ლივერპულის" მესვეურები აპირებენ. მით უმეტეს, რომ ტორესი ტრავმირებულია და ესპანელის არყოფნაში ირლანდიელი ძირითადის ფეხბურთელად იქცა.

## "ლოკომოტივი" ასათიანის თაობაზე შეთავაზებას ელის

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი მალხაზ ასათიანი, რომელსაც კიევის "დინამოსთან" საიჯარო ხელშეკრულება დაუმთავრდა, მოსკოვში ჩავიდა და შეხვდა "ლოკომოტივის" პრეზიდენტს ნიკოლაი ნაუმოვს, რომელმაც ის 12 იანვრამდე შვებულებაში გაუშვა. ასათიანის სატრანსფერო უფლებები მოსკოველებს ეკუთვნით და ვიდრე მას შვებულება დაუმთავრდება, "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა მზად არის ქართველის თაობაზე სხვადასხვა კლუბის შეთავაზება განიხილოს.

"ხუთშაბათს შევხვდი ასათიანს. წონა დაუკლია და ძალა მოუკრებია. მოვილაპარაკეთ, რომ 12 იანვრამდე დაისვენებს, ხოლო როდესაც შვეუბლებიდან დაბრუნდება. მის მომავალ ბედს ერთად გადავწყვეტთ. შესაძლოა, კიევის "დინამომ" ან სხვა რომელიმე კლუბმა ასათიანს ხელსაყრელი წინადადებით მიმართოს. ჯერჯერობით ოფიციალურად არავინ შეგვხმიანებია, მაგრამ ვფიქრობ, შეთავაზებები იქნება" - განუცხადა რუსულ სპორტულ გამოცემა "სპორტ-ექსპრესს" ნაუმოვმა.

ხუთშაბათს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასათიანის კიევის "დინამოში" დარჩენა თითქმის გადაწყვეტილია. უკრაინელები მზად არიან ქართველი მცველი "ლოკომოტივიდან" გამოისყიდონ.

## ბასილაშვილი მერვედფინალშია

16 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილი "ორანჯ ბოულის" მერვედფინალშია. ქართველ ჩოგბურთელს ასაკის წყალობით შეეძლო 16 წლამდელთა ტურნირშიც ეთამაშა, თუმცა ახალგაზრდულ ასპარეზზე ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს დიდების კატეგორია არჩია.

"ორანჯ ბოული" ფლორიდის შტატში იმართება. ნიკოლოზმა ძირითად ბადეში გასაღწევად სამი მეტოქე დაამარცხა, შემდეგ მთავარი ტურნირის პირველ ორ წრეშიც იყოჩაღა. გუშინ ბასილაშვილს "ორანჯ ბოულის" ერთ-ერთი ფავორიტი ჰყავდა მეტოქედ - მე-5 ნომრად განთესილი ბრაზილიელი ჟოზე პერეირა მსოფლიოს ახალგაზრდული რეიტინგის მე-9 ჩოგანია. ჩვენებურმა ორ სეტში იმარჯვა - 7:5, 6:1. მერვედფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე ამერიკელი ევან კინგია (86). იმედი გვაქვს, ნიკა კვლავ გააგრძელებს მოგებათა სერიას. ურთიერთშეხვედრებში მას ცაცია კინგი ორჯერ ჰყავს დამარცხებული, ბოლოს - ერთი კვირის წინ "ედი ჰერის" ჩემპიონატში.

ამასობაში ნიკოლოზ ბასილაშვილს "ედი ჰერის" ჩემპიონატის მერვედფინალში გასვლისთვის კუთვნილი ქულები დაერიცხა და ის ახალგაზრდულ რეიტინგში 18 ადგილით წავიდა წინ. ნიკას 226 ქულა აქვს და 165-ე ჩოგანია. ბიჭებში 115 ქულით 356-ე პოზიციაზეა ლაზარე კუხალაშვილი, გოგონებში ეკა გორგოძე 193 ქულით 204-ეა. ნიკას "ორანჯ ბოულის" შემდეგ საუკეთესო ასეულში ველით.

## ვანე დერ სარი "მანჩესტერში" რჩება

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებისა და "მანჩესტერის" მეკარე ედვინ ვან დერ სარმა მანკუნიანურ კლუბთან კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი და "ოლდ ტრაფორდზე" 2010 წლამდე დარჩება.

ედვინმა ამ სეზონის დაწყების წინ ერთწლიანი კონტრაქტი დადო კლუბთან სეზონის ბოლომდე, ახლა კი, როგორც ჩანს, გადაიფიქრა და კიდევ ერთი სეზონის გატარებას აპირებს ფერგიუსონის გუნდში.

## მარადონა ნაკრებში ვერონს აბრუნებს

არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა ხუან სებასტიან ვერონსა და ხუან რომან რიკელმეს თავისი გუნდის უცვლელ ფეხბურთელებად მიიჩნევს.

ამის თაობაზე დიეგომ ერთ-ერთი უცხოური გამოცემის ჟურნალისტს განუცხადა.

"რიკელმემ ან ვერონმა, გააჩნია, იმ მომენტში რომელი იქნება მინდორზე, ჩემი მითითებები პარტნიორებს უნდა გადასცენ. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ მათ მოედანზე ადგილი მოვუძებნო, რადგან ნახევარდაცვაში გაგოსა და მაკერანოს დუეტს ალტერნატივა არ ჰყავს", - ამბობს მარადონა და, იმედია, თავის ჩანაფიქრს შეასრულებს. 33 წლის ვერონს 2007 წლის შემდეგ არ უთამაშია არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში, ახლა კი ევროპამოვლილი ვერონი არგენტინული "ესტუდიანტესის" ღირსებას იცავს.

## ბერძნული ფეხბურთი უპრეზიდენტოდ დარჩა

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვასილის გაგატისმა დაკავებული თანამდებობა დატოვა.

გაგატისი ამ პოსტზე 11 წელიწადი მუშაობდა. როგორც მისთვის, ისე ბერძნული ფეხბურთისთვის ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა 2004 წელი, როდესაც საბერძნეთის ეროვნულმა ნაკრებმა ოტო რეჰაგელის თავკაცობით პორტუგალიაში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

თუმცა, ბოლო პერიოდში ფედერაციის ყოფილ თავკაცს ხშირად აკრიტიკებდნენ. ექსპერტთა ვარაუდით, გაგატისს მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როდესაც გაზეთმა Real News გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ფედერაციას ვალები დაუგროვდა. თავად გაგატისს გადადგომის მიზეზი არ დაუკონკრეტებია.

არჩევნებამდე, რომელიც 2009 წლის 24 იანვარს გაიმართება, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას უხელმძღვანელებს ვასილის ხაციაპოცოლუ, რომელსაც აქამდე ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

# თემურ ქეცბაიას ნახტომი ევროპაში


წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში ქეცბაიამ მთავარი სენსაცია შემოგვთავაზა

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ნამდვილ აღმოჩენად იქცნენ კვიპროსული "ანორთოსისი" და მისი ქართველი მწვრთნელი თემურ ქეცბაია. რუსულმა ყოველკვირეულმა გამოცემა "ფუტბოლმა" ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ თემურთან ჩაწერა ინტერვიუ, რომელსაც აქ გთავაზობთ.

**- თემურ, როდის გაგიქრათ იმის შეგრძნება, რომ წლევანდელი სეზონი სიზმარი არ არის, რომ თქვენ მართლაც თამაშობთ ჩემპიონთა ლიგაში და არ გძინავთ?**

- დაახლოებით ნახევარი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებ და თან ასეთი დიდი წარმატებითო, არ დავიჯერებდი. უკვე ოთხი წელია "ანორთოსისში" ვმუშაობ და კვიპროსში ყველაფერი მოვიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ევროთასებზეც წარმატებით ვთამაშობდით და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თითქმის ყოველთვის ვახერხებდით გასვლას. ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად კი რაღაც არ გვყოფნიდა. საჭირო იყო ერთი ნახტომი. ამ სეზონის დასაწყისში გამოცდილი ფეხბურთელები შევიძინეთ და ნახტომიც შედგა.

**- შესარჩევ ციკლში ყველაზე ძნელი რა იყო?**

- მეორე წრეში განმეორებითი მატჩი "რაპიდთან". საკუთარ მოედანზე მეტოქე 3:0 დავამარცხეთ, სტუმრად კი მატჩის დებიუტშივე შევძელით გოლის გატანა. თუმცა 70-ე წუთისთვის "რაპიდმა" სამი გოლი გაიტანა. ბოლო 20 წუთი ძალიან მძიმე გამოდგა. არც "ოლიმპიაკოსის" დამარცხება იყო ადვილი მესამე შესარჩევ ეტაპზე. თავის დროზე ხშირად ვეუბნებოდი ბერძენ ჟურნალისტებს: "რა კარგი იქნება, თუ ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევ ეტაპზე ბერძნული კლუბი შეგვხვდება. მაშინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავალთ". ამას დიდი ხნის წინ ვამბობდი და ბოლოს ასეც გამოვიდა. საბერძნეთში მიაჩნიათ, რომ კვიპროსული ფეხბურთის დონე ძალიან დაბალია. ჩვენ საწინააღმდეგოს დამტკიცება გვინდოდა. მთლიანობაში საბერძნეთის ჩემპიონატის დონე, რა თქმა უნდა, აღემატება კვიპროსის ჩემპიონატის დონეს, მაგრამ წამყვან კვიპროსულ გუნდებს თავისუფლად შეუძლიათ გაუმართონ ბრძოლა საბერძნეთის ჩემპიონატის ლიდერებს.

**- საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო მატჩის შემდეგ ალბათ კარგად მოილხინეთ და მთელი ღამე ზეიმში გაატარეთ...**

- თქვენ იცით, რომ "ანორთოსისი" ფამაგუსტას გუნდია, მაგრამ ჩვენ იქ თამაშის საშუალება არ გვაქვს. როდესაც საბერძნეთიდან ლარნაკაში ჩავფრინდით, აეროპორტში 12 ათასი ადამიანი დაგვხვდა. დიახ, დიახ, არ მეშლება - 12 ათასი. წარმოგიდგენიათ, რა დიდი სიხარული იყო მათთვის ჩვენი გამარჯვება.

**- ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთ სენსაციად "ბატე" მოგვევლინა. ჩემპიონთა ლიგაში გასვლის გამო ამ კლუბს ხელმძღვანელობამ ერთი მილიონი ევრო გამოუყო პრემიალურის სახით, რაც ბელორუსული საზომით ძალიან დიდი ფულია. თქვენი გუნდი თუ დაასაჩუქრეს?**

- რა თქმა უნდა. ბიჭებს თავიდანვე ვუთხარი: თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავა, პრემიალურის სახით ფეხბურთელები იმ თანხის 30 პროცენტს მიიღებენ, რომელსაც გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გამოიმუშავებს-მეთქი. ცხადია, დანაპირებს შევასრულებთ (ცნობისთვის: "ანორთოსისმა" ჩემპიონთა ლიგაში დაახლოებით 10 მილიონი ევრო გამოიმუშავა).

# ტოტი ნაკრებში ბრუნდება?


ტოტი ნაკრებში დაბრუნებაზე ალაპარაკდა

იტალიის ნაკრები საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ასე რომ, რაც "სკუადრა აძურაში" ხდება, ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მას შემდეგ, რაც რობერტო დონადონი მარჩელო ლიპიმ შეცვალა, იტალიის ნაკრებში გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყო. დონ მარჩელო ცდილობს "სკუადრა აძურაში" ახალი სახეები მიიწვიოს, თუმცა ძველებსაც არ ივიწყებს.

ფრანჩესკო ტოტის ნაკრებთან ურთიერთობა თითქოს უკვე გარკვეული ჰქონდა - "რომას" კაპიტანს ეროვნული ნაკრების მაისურით 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშია. ხან რა მოიმიზეზა და ხან რა, რომ დონადონის ფორმაციის გუნდში არ ეთამაშა. ბოლოს ისიც კი თქვა, სანაკრებო კარიერა დავასრულე და მხოლოდ მშობლიურ კლუბზე ვიქნები კონცენტრირებულიო.

გუშინ იტალიურმა მედიამ გაავრცელა სენსაციური ცნობა, რომელიც მარჩელო ლიპისაც გაუჩენს საფიქრალს.

"რა მოხდება, თუ ლიპი დამირეკავს და ნაკრებში გამომიძახებს? უარს ნამდვილად ვერ ვეტყვი. ნაკრებიდან წასვლა თითქოს საბოლოოდ მქონდა გადაწყვეტილი. ამ ნაბიჯის გადადგმამდე ბევრი ვიფიქრე და მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი, მაგრამ თუ ლიპიმ დამირეკა, უარს ვერ ვეტყვი. მას ჩემთვის ბევრი აქვს გაკეთებული და თუ ნაკრებში დავჭირდი, დაუფიქრებლად მივიღებ შემოთავაზებას", - განუცხადა ტოტიმ "კორიერო დელო სპორტის" ჟურნალისტს.

ასე რომ, ახლა ყველაფერი მარჩელო ლიპიზეა დამოკიდებული. თუ გამოცდილმა სპეციალისტმა გადაწყვიტა, რომ ტოტის სამსახური სჭირდება, ფრანჩესკოს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის შანსი მიეცემა.

ჟურნალისტებთან საუბარში ტოტი იტალიის ჩემპიონატს და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ "რომა" მთლიანად ჩემპიონთა ლიგაზეა კონცენტრირებული.

"ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ. იტალიის ჩემპიონობისთვის "ინტერი", "იუვენტუსი" და "მილანი" იბრძოლებენ. სწორედ ეს სამეული გაითამაშებს სკუდეტოს. "რომას" ჩემპიონობის შანსი არა აქვს. პირადად მე "მილანს" ვუგულშემატკივრებ. მინდა "სკუდეტო" "როსონერიმ" მოიგოს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ამ სეზონში ფინალს რომი უმასპინძლებს. ამიტომ ჩვენი ვალია ფინალამდე მივიდეთ. ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ჩემპიონთა ლიგის მოგების ასეთი კარგი შანსი "რომას" შეიძლება აღარც კი მიეცეს. პლეი-ოფში კი "რეალთან" მინდა შეხვედრა - ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში კარგად გამოგვდის", - აცხადებს ტოტი.

# შპს “საქართველოს რკინიგზა” 2008 წლის 13 დეკემბრიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს დიზელის საწვავის შესახებ

შპს “საქართველოს რკინიგზა” (მდებარე ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **დიზელის საწვავის შესყიდვის შესახებ** და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი “რესპუბლიკა” ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2008 წლის 13 **დეკემბრიდან** 2009 წლის **6 იანვრის** ჩათვლით **<u>სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის</u>** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | მოც. ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | დიზელის საწვავი L-62 | ტონა | 6 207,5 |

***<u>შენიშვნა:</u>*** *საქონლის ზემოაღნიშნული რაოდენობის ცვლილება შესაძლებელია წლის განმავლობაში +/- 5%*

**3. მიწოდების პირობა:** DDP;

